



საქმე № 330310014622599

საქმე N3ბ/1668-15



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

I შ ე ს ა ვ ა ლ ი

09 თებერვალი, 2016 წ.

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე - მანანა ჩოხელი

სხდომის მდივნები - სოფო ჯაფარიძე, ნატო გერზმავა, ნათია ზანდუკელი

აპელანტი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

წარმომადგენლები - ნ. ტ., ნ. ს., რ. გ.

აპელანტი - ა. ს.

წარმომადგენელი - ი. პ.

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენით;



II აღწერილობითი ნაწილი

1. აპელანტის მოთხოვნა:

1.1. აპელანტის - ა. ს.-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება, სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების მოცულობის ნაწილში და სააპელაციო პალატაში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სრულად დაკმაყოფილდეს მოსარჩელის შუამდგომლობა სასამართლოსგარეშე ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 08 დეკემბრის საოქმო განჩინება მოპასუხესთან დაცული წერილობითი მასალების სასამართლოს მეშვეობით გამოთხოვაზე უარყოფის ნაწილში. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 08 დეკემბრის საოქმო განჩინება მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტების საქმეზე დართვის თაობაზე და ხსენებული დოკუმენტები ამღებული იქნას საქმიდან. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 08 დეკემბრის საოქმო განჩინება მოწმეთა სახით ლ. ხ.-ს და მ. ჯ.-ს დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის საოქმო განჩინება მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებლის და მტკიცებულებების საქმეზე დართვის შესახებ. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 დეკემბრის, 2015 წლის 27 იანვრის საოქმო განჩინებები საქმის ზეპირი მოსმენით სხვა დროისთვის გადადების თაობაზე. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 თებერვლის საოქმო განჩინება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე. საქმის სააპელაციო განხილვის ეტაპზე მოწინააღმდეგე მხარეს დაეკისროს სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურება.

1.2 აპელანტის - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.



2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით ა. ს.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 23 სექტემბრის №7XX ბრძანება ა. ს.-ს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილ ვადაში. დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ს.-ს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება: წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით შედგენისთვის 12 ლარის ოდენობით. ადვოკატის დახმარებისთვის გაწეული ხარჯის 600 ლარის ოდენობით.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის პირველი ოქტომბრის №17XX განკარგულებით ა. ს. დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, კონკურსის შედეგად 2 თვის გამოსაცდელი ვადით. (ტომი 1, ს.ფ. 15)

2.2. 2014 წლის 03 სექტემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მოახსენა, რომ მისდამი დაქვემდებარებული სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსმა ა. ს.-მ წარუდგინა შპს "ნ.-სთან" სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული აქტით შპს „ნ.-სთვის“ უნდა გადარიცხულიყო 2480 ლარი გაწეული მომსახურებისთვის, თუმცა აღნიშნულ აქტთან დაკავშირებით წარმოეშვა სხვადასხვა სახის კითხვები, კერძოდ: 1. ჰქონდა თუ არა როდესმე განხორციელებული ინსპექტირება და კონტროლი, რაზეც ა. ს.-მ სიტყვიერად განუმარტა, რომ არ ჰქონია. 2. რის საფუძველზე მოაწერა მან მიღება-ჩაბარების აქტს ხელი და რატომ არ ჩააყენა ამის თაობაზე საქმის კურსში სამსახურის უფროსი ან კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილე. 3. რატომ მოაწერა მიღება-ჩაბარების



აქტს ხელი მიუხედავად იმისა, რომ იგი მომწოდებლის მიერ ხელმოუწერელი იყო. 4. რატომ დაარტყა მიღება-ჩაბარების აქტს სამსახურის ბეჭედი სამსახურის უფროსის ნებართვის გარეშე. 5. ხელშეკრულების შესაბამისად, მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი არიან ადმინისტრაციის ქალაქგაფორმების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურები, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მხოლოდ თვითონ ა. ს. აწერდა.

ხსენებულ შეკითხვებთან დაკავშირებით ა. ს.-ს მოეთხოვა წარედგინა ახსნა-განმარტებითი ბარათი, რაც მან არ შეასრულა და ისე დატოვა სამსახური.

სამსახურის უფროსმა მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი შემდგომი რეაგირებისა და დასკვნისათვის გადაგზავნოდა შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს. (ტომი I, ს.ფ. 24)

2.3. 2014 წლის 09 სექტემბერს ა. ს.-ს მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებისთვის მიცემული ახსნა-განმარტების თანახმად, ტრანსპორტით მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, ხელმძღვანელის ზეპირსიტყვიერი მითითების საფუძველზე, მის მოვალეობას წარმოადგენდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

კონტროლის ღონისძიებას წარმოადგენდა შემსრულებლის მიერ მომსახურების ვალდებულების ხარისხიანად შესრულება.

მიღება-ჩაბარების გაფორმების საფუძველს წარმოადგენდა შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი გავლილი კილომეტრაჟის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტი, მომსახურების შესრულების შესახებ.

ა. ს.-ს განმარტებით, სამსახურის უფროსის თანაშემწემ ბეჭდის დასმაზე მისცა თანხმობა, მისი თანხმობის გარეშე ბეჭედი მიუწვდომელი იყო. ბეჭდის დასმა და დოკუმენტის სამსახურის უფროსისთვის წარდგენა ერთდროულ/თანმიმდევრულ მოქმედებებს წარმოადგენდა. (ტომი I, ს.ფ. 44-46)

2.4. 2014 წლის 15 სექტემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსს მოხსენებითი ბარათით მიმართეს ამავე სამსახურის მონიტორინგის განყოფილების მთავარმა სპეციალისტებმა. მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ ა. ს.-მ სამსახურის უფროსის



თანაშემწის ნებართვის გარეშე ბეჭდით დაამოწმა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც თავად აწერდა ხელს.

ხელშეკრულების თანახმად, ვალდებულების შესრულებაზე პერიოდული კონტროლი ევალებოდა შემსყიდველს, კონკრეტულ შემთხვევაში კი თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებს, რომლებიც წარმოადგენდნენ მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირებს.

ა. ს. შპს „ნ.-ს“ მიერ გაწეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობის (კილომეტრაჟის) დადასტურებას ახდენდა ხელშეკრულების 5.1. და 5.2. პუნქტებით გათვალისწინებული პერიოდული ინსპექტირებისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელების გარეშე.

მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ა. ს. სატრანსპორტო საშუალებების მიერ გავლილ კილომეტრაჟს ადასტურებდა ყოველგვარი პერიოდული ინსპექტირებისა და კონტროლის ღონისძიებების გარეშე.

„ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ შესყიდვებზე შპს „ნ.-ს“ მიერ წარდგენილი და ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის ა. ს.-ს მიერ დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, შპს „ნ.-ზე“ ანაზღაურებული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობა 2046 კილომეტრით აღემატებოდა აუდიტის სამსახურის მიერ მსოფლიო გლობალურ ქსელში (ინტერნეტში) მოძიებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ შპს „ნ.-ს“ მიერ გაწეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობას. ამასთან, ა. ს.-მ აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებს ვერ წარუდგინა შპს „ნ.-ს“ მიერ წარდგენილი გაწეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობის (კილომეტრაჟის) გადამოწმების მიზნით ჩატარებული ინსპექტირების ან კონტროლის რაიმე ღონისძიების შესახებ ინფორმაცია ან დოკუმენტი.

ა. ს. შპს „ნ.-ს“ მიერ გაწეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობის (კილომეტრაჟის) დადასტურებას ახდენდა ხელშეკრულების 5.1. და 5.2. პუნქტებით გათვალისწინებული პერიოდული ინსპექტირებისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელების გარეშე, რაც მიუთითებდა ა. ს.-ს მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებაზე და წარმოადგენს



„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლით განსაზღვრულ დისციპლინურ გადაცდომას. (ტომი I, ს.ფ. 19-23)

2.5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსმა 2014 წლის 15 სექტემბერს №10-10/14246XXX მოხსენებითი ბარათით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მოახსენა, რომ შესწავლილი მასალების მიხედვით, ა. ს.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებას, რაც წარმოადგენს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 78-ე მუხლით განსაზღვრულ დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, მის მიმართ შესაძლებელი იყო გამოყენებული ყოფილიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა „სამსახურიდან გათავისუფლება“. (ტომი I, ს.ფ. 17-18)

2.6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბერის №7XX ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსი ა. ს., სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევისათვის, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. (ტომი I, ს.ფ. 16)

2.7. დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ ტრანსპორტით მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებისთვის დადგენილი წესი და მეთოდი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არ არსებობს. ამასთან, სასამართლომ მოპასუხეს დაავალა წარმოედგინა მტკიცებულება, იმავე ტიპის სხვა ხელშეკრულებაზე გავლილი კილომეტრაჟის სისწორის შემოწმების მიზნით ჩატარებული ინსპექტირების შესახებ. მოპასუხემ დავალებული მტკიცებულება ვერ წარმოადგინა.

2.8. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 24 ნოემბრის წერილის თანახმად, იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რამდენად უტყუარია მსოფლიო გლობალურ ქსელში (ინტერნეტი) "Google Map"-ის მიერ მოცემული კილომეტრაჟის დამადასტურებელი მონაცემები, შეუძლებელია ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში კვლევის ჩატარება და დასკვნის გაცემა. (ტ.1. ს.ფ. 75)



2.9. წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამში მუშაობის პერიოდში ა. ს.-ს დისციპლინური სახდელი დაკისრებული არ ჰქონია.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.10. სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია.

2.11. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს ყველა იმ მოქალაქისათვის, რომელიც კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, გარანტირებულია სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერი თანამდებობის დაკავების უფლება, ხოლო საჯარო სამსახურში მიღების პირობები განსაზღვრულია კანონით, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე საჯარო სამსახურში მიღებისას, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში თუ საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების დროს დაცულია რაიმე სახის არამართლზომიერი, კანონსაწინააღმდეგო ჩარევისაგან.

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი ყველას ავალდებულებს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას.



2.12. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლების მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება უშუალოდ მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში და თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში აგრეთვე, ყველას აქვს შრომის სამართლიანი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მათ შორის არ დაუშვას პირის შრომითი პირობების იმგვარად დადგენა, რომელიც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს.

2.13. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამსახური (შემდგომ - სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის მე-2 მუხლს მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენს- მერია.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის გამგებელი თვითმმართველ თემში და მერი თვითმმართველ ქალაქში. გამგებელი/მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ამავე კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გამგეობა/მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან. გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეული შესაბამისი დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგებლის/მერის დავალებების შესრულებას. ამავე კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მერი: ა.ა) საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას; ა.დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის/მერიის მოსამსახურეებს.



განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ა. ს. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბრის №7XX ბრძანებით.

განთავისუფლების ბრძანების საფუძველად მითითებულია სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევა.

2.14. საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: ა) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ერთი წლისა; ვ) სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე.

ამავე კანონის 99-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

სასამართლომ განმარტა, რომ მოხელეს დისციპლინური სახდელის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეფარდება სამსახურიდან გათავისუფლება, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს თუნდაც ერთი, ნაკლებად მკაცრი, დისციპლინური სახდელი. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევა, რაც იძლევა საფუძველს მოხელე პირველივე დარღვევაზე სამსახურიდან გათავისუფლდეს.

მოპასუხე მხარეს დაევალა სასამართლოში წარმოედგინა სამართლებრივი აქტი, თუ რა წესით ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის



თანამშრომლების მიერ ტრანსპორტით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული კილომეტრაჟის დასადგენად პერიოდული ინსპექტირებისა და კონტროლის ღონისძიებები, თუმცა მოპასუხემ ვერ შეძლო ასეთი ინფორმაციის წარმოდგენა. მოპასუხემ აგრეთვე ვერ შეძლო წარმოედგინა სხვა მსგავსი ხელშეკრულების ფარგლებში, კილომეტრაჟის სიზუსტის დასადგენად ჩატარებული ინსპექტირების და კონტროლის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მუშაკების მოხსენებით ბარათში მითითებულია, რომ შპს „ნ.-ზე“ ანაზღაურებული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობა 2046 კილომეტრით აღემატება ამავე სამსახურის მიერ მსოფლიო გლობალურ ქსელში (ინტერნეტში) მოძიებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ შპს „ნ.-ს“ მიერ გაწეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობას.

სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხე მხარეს აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება წარმოდგენილი არ აქვს, მაშინ, როდესაც მოსარჩელემ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 24 ნოემბრის წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რამდენად უტყუარია მსოფლიო გლობალურ ქსელში (ინტერნეტი) „Google Map“-ის მიერ მოცემული კილომეტრაჟის დამადასტურებელი მონაცემები, შეუძლებელია ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში კვლევის ჩატარება და დასკვნის გაცემა.

მოსარჩელე მიუთითებს მისდამი ხელმძღვანელობის არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე და ამის დასტურად მოჰყავს ფაქტი, რომ მსგავს მიღება-ჩაბარების აქტებზე სხვა თანამშრომლებსაც არაერთხელ აქვთ ხელი მოწერილი, თუმცა დისციპლინური სახდელი მხოლოდ მას შეეფარდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული ბრძანება დასაბუთებულობის მაღალ სტანდარტს უნდა პასუხობდეს, მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება სამსახურებრივი მოვალეობების უხემ დარღვევას, რაც ცალსახად შეფასებითი კრიტერიუმია და, როდესაც დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თანამდებობის პირი ასეთი სახის გადაწყვეტილებას იღებს, იგი ვალდებულია იმსჯელოს და დაასაბუთოს თუ რაში მდგომარეობს უხემი დარღვევა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით იღებს ასეთ გადაწყვეტილებას და რატომ არის გამორიცხული სხვა სახის დისციპლინური სახდელის გამოყენება



მოხელის მიმართ, რომელსაც არც ერთი მოქმედი დისციპლინური სახდელი არ აქვს. ყოველგვარი ეჭვი უნდა გამოირიცხოს იმის თაობაზე, რომ ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დისკრიმინაციულ მიდგომას ამა-თუ იმ მოხელის მიმართ.

2.15. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია, ა. ს.-სათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს, თუმცა დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულმა ორგანომ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ერთადერთ საზომად არ უნდა მიიღოს; დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების მტკიცება მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით. მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისას გამოსარკვევია არა მარტო ის, ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება, არამედ ის, თუ როგორ განახორციელა მან აღნიშნული უფლებამოსილება. სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა კი, უპირველესად, მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებიდან ხდება შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ თუ დისციპლინური სახდელის შეფარდების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, მასვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოირიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ



გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას.

სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას თუ რატომ გამოიყენა მოპასუხემ ა. ს.-ს მიმართ ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელი - სამსახურიდან გათავისუფლება და რატომ იყო შეუძლებელი მის მიმართ უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენება.

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ა. ს.-ს მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდებისას, აუცილებელია ყურადღება მიექცეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს. საგულისხმოა ა. ს.-ს ქმედებამ რა ზიანი მიაყენა სახელმწიფოსა და საჯარო წესრიგს; დაცულია თუ არა ა. ს.-ს მიმართ ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენებით თანაზომიერების პრინციპი. განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოყენებული დისციპლინური სახდელის თანაზომიერება უნდა შეაფასოს იმის გათვალისწინებით, ა. ს.-ს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად მითითებული გადაცდომა ჩადენილია თუ არა ა. ს.-ს მიერ და თუ აღნიშნულ დისციპლინურ გადაცდომას ჰქონდა ადგილი, რატომ არის გამორიცხული სამსახურიდან გათავისუფლების გარდა სხვა დისციპლინური სახდელის გამოყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ბრძანება გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, არ არის შეფასებული მისი გამოცემის საფუძვლად მითითებული მტკიცებულებები და არ არის დასაბუთებული ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენება.

2.16. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60: მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.



საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 23 სექტემბრის №7XX ბრძანება ა. ს.-ს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილ ვადაში.

2.17. რაც შეეხება სამსახურში აღდგენის, იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნებს, ამ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

ამავე კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების



შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან გათავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

ვინაიდან სასამართლომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 23 სექტემბრის №7XX ბრძანება ა. ს.-ს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება მოსარჩელის კონკრეტულ თანამდებობაზე აღდგენისა და ამ აღდგენის თანმდევი იძულებით განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

2.18 სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, როდესაც ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან, საქმეზე გაწეულ ხარჯს ანაზღაურებს სახელმწიფო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

2.19. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული



ოდენობისა. 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს ამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო ადვოკატის მონაწილეობა ამ საქმის განხილვაში მიზანშეწონილია. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტამდე ოდენობით. არაქონებრივი დავის დროს განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2 000 ლარამდე ოდენობით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი საქმის სირთულისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით მოპასუხეს უნდა დაეკისროს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის 600 ლარის ანაზღაურება.

აგრეთვე უნდა დაეკისროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით შედგენისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება.

3. სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები

3.1 აპელანტი ა. ს.

აპელანტი აღნიშნავს რა მისი მხრიდან საქმის ყველა გარემოებების თანაბარი გულმოდგინებითა და გამოწვლილვით გამორკვევის პროფესიულ კულტურას, მისი მხრიდან უდავოდ მაღალი ხარისხით მართლმსაჯულების განხორციელებას ყველა კატეგორიის საქმეზე, მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება და გასაჩივრებული (საოქმო) განჩინებები (საოქმო ჩანაწერები) უნდა გაუქმდეს, სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე სარჩელისა და შუამდგომლობების სრულად დაკმაყოფილებით მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. სააპელაციო პრეტენზია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად სასარჩელო მოთხოვნებზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით სასამართლო გადაწყვეტილების მიღების თაობაზე:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-



სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი“.

მნიშვნელოვანია, რომ დადგინდეს ხსენებული ნორმის გამოსაყენებლად სათანადო აუცილებლობა და შესაბამისი წინაპირობები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ეს გარემოებები იმდენად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მათი შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია (სუს 22.07.2010წ. გადაწყვეტილება Nბს-534-514(კ-10) საქმეზე).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით რეგლამენტირებული საპროცესო ნორმის გამოყენებისას სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არის მისთვის შეუძლებელი საქმის გარემოებების გამოკვლევა და სადაო საკითხის არსებითად გადაწყვეტა, ასევე – ის გარემოება, რომ რატომ არის მოკლებული სასამართლო შესაძლებლობას, გამოიკვილოს და სათანადოდ შეაფასოს საქმის გარემოებები (იხ. იგივე გადაწყვეტილება).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ იყო აუცილებელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის ნორმის გამოყენება და რატომ იყო სასამართლოსათვის შეუძლებელი, თვითონ გამოეკვლია საქმის გარემოებები და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტით, საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მიეღო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენებით ფაქტობრივად, სასამართლო არ შედის დავის არსებითად გადაწყვეტის პროცესში, ღიად ტოვებს სასარჩელო მოთხოვნას და არ მსჯელობს მის საფუძვლიანობაზე (სუს 13.04.2011წ. გადაწყვეტილება Nბს-1547-1508(კ-10) საქმეზე).

იმ ვითარებაში, როდესაც ამოწურულია დავის ადმინისტრაციულ ორგანოში განხილვის ყველა ეტაპი, ამასთან, საკითხი ადმინისტრაციულ ორგანოში განხილულია არსებითად, იმავე ორგანოში საქმის დაბრუნება საკითხის ხელახალი განხილვისათვის მოკლებულია შესაძლო რეალურ და ეფექტურ შედეგს, პირის



უფლებებში აღსადგენად ხსენებული გარემოებები გულისხმობს სწორედ სასამართლოს ვალდებულებას, ასეთ პირობებში თავად იმსჯელოს სარჩელზე და მოტივირებული გადაწყვეტილებით უარყოს ან დაადასტუროს სარჩელის საფუძვლიანობა (სუს 13.04.2011წ. გადაწყვეტილება Nბს-1547-1508(კ-10) საქმეზე).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით საკითხის გადაწყვეტამ ფაქტობრივად არ უნდა გააუარესოს მხარის სამართლებრივი მდგომარეობა, რაც არსებითად ეწინააღმდეგება სამართალწარმოების პრინციპებს (იხ. იგივე გადაწყვეტილება).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს არ უმსჯელია და დაუსაბუთებია თუ რომელ გარემოებებზე მსჯელობით უნდა მივიდეს მოპასუხე ახალი აქტის გამოცემის დროს, ან რა არის ის ფარგლები, რომელთა არეალშიც ევალება მსჯელობა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, რა საკითხებია გამოსარკვევი მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელია ის გარემოებები ან მტკიცებულებები, რომელთა გაანალიზებაც უნდა განახორციელოს მოპასუხემ სასამართლო გადაწყვეტილებით დავალეული ახალი აქტის გამოცემის პროცესში. ამასთან, რატომ იყო ასეთის განხორციელება შეუძლებელი თავად საქმის განმხილველი მოსამართლის მხრიდან.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი სასამართლოს მიერ ისე არ უნდა იყოს გამოყენებული სასამართლო გადაწყვეტილებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ნებისმიერი საკითხის კვლევა შეეძლოს მოსარჩელის მიმართ. ასეთმა გადაწყვეტილებამ მკაფიოდ უნდა დაადგინოს ის ფარგლები, რომელთა გამოკვლევაც უნდა დაევალოს მოპასუხეს და ამასთანავე, სასამართლომ უნდა განავითაროს მსჯელობა თუ რატომ ვერ შესძლო სწორედ ამ საკითხების გამორკვევა და საქმის არსებითად გადაწყვეტა მართლმსაჯულებამ.

ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძვლით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს შეუძლია თუ არა კვლავ იგივე გადაწყვეტილების მიღება მოწინააღმდეგე ადმინისტრაციულ ორგანოს თუ არა იგივე ვითარებაში (მაგალითად, ახალი წარმოების პირობებში უნდა გამოირიცხოს თუ არა ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელისა და ზომის შეფარდება და რომ, მაგალითად, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს სხვა, რომელიმე ისეთი პროპორციული დისციპლინური სახდელის შეფარდების საკითხზე, რომელიც არ დაუკავშირდება პირის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილება მისი აღსრულებისას საფრთხისშემცველი არ უნდა იყოს, ის არ უნდა ხსნიდეს გზას ახალი თვითნებობისათვის, მისით მოქმედების მკაფიო



საზღვრები უნდა დგინდებოდეს და თავად ადმინისტრაციულ ორგანოსაც უნდა შეეძლოს მისი სამომავლო ქცევის რეგულირების შესაძლებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველით მიღებული გადაწყვეტილება ის გამონაკლისი შემთხვევაა, რომ ასეთი გადაწყვეტილების აღსრულების საშუალება არის არა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, არამედ სწორედ მისი სამოტივაციო ნაწილი და მისით დადგენილი მკაფიო საზღვრები, ურომლისოდაც მიღებული გადაწყვეტილება ვერ უპასუხებს თავად 32.4 მუხლის რეალურ მიზნებს.

ასე 32.4 მუხლის საფუძველით არსებული სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების პირობებში სასამართლომ ზუსტად უნდა უკარნახოს ადმინისტრაციულ ორგანოს ის გზა, რომელიც უნდა განვლოს მან და მივიდეს საკითხის სამართლებრივად სწორად გადაწყვეტამდე. ასეთი მსჯელობისას ასევე უნდა აუხსნას სასამართლომ თუ რა გარემოებები ვერ გამოიკვლია მან 32.4 მუხლის გამოყენებით ბათილად ცნობილი ადმინისტრაციული აქტის მიღებისას.

სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ცხადად და მკაფიოდ დასაბუთებას ალტერნატივა არ აქვს.

აპელანტს უდაოდ მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ არ დაასაბუთა:

- ა) მოპასუხემ არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი რა გარემოებები ვერ გამოიკვლია სადაო აქტის მიღებისას, რომ მათი შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელი აღმოჩნდა;
- ბ) რატომ იყო მოკლებული სასამართლო შესაძლებლობას, არსებითად გამოეკვლია და სათანადოდ შეეფასებინა საქმის გარემოებები;
- გ) რა გარემოებები აჩვენებდა იმას, რომ დავის ადმინისტრაციულ ორგანოში განხილვის ყველა ეტაპი ამოწურული არ იყო;
- დ) რომელ გარემოებებზე მსჯელობით უნდა მივიდეს მოპასუხე ახალი აქტის გამოცემის დროს, რა არის ის ფარგლები, რომელთა არეალშიც ევალება მსჯელობა მოპასუხეს;
- ე) ხომ არ გააუარესებდა ასე 32.4 მუხლის გამოყენება მოსარჩელის გადაუდებელ სამართლებრივ მდგომარეობას.

იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიერ სამართლის ნორმით აკრძალულ ქმედებას ადგილი არ ჰქონია და ამასთან, სასამართლოს პროცესუალურად შეუძლია მოხელე პირდაპირ აღადგინოს სამსახურში - დაუსაბუთებელია, თუ რატომ ითქვა უარი დასაქმებული პირის სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობით სამსახურში პირდაპირ აღდგენაზე.

აპელანტი არ ერიდება და აღნიშნავს, რომ სასამართლოების მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენებას უმეტესწილად სხვა მიზნები უდევს ხოლმე. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს სურს ანგარიში გაუწიოს არასახარბიელო და სრულად წამგებიან სამართლებრივ



მდგომარეობაში მყოფ საჯარო დაწესებულებას, ყველაზე მტკივნეული გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად, სასამართლო არჩევს მიიღოს შეძლებისდაგვარად შუალედური გადაწყვეტილება და ამისათვის ნამდვილად საპროცესო მიგნებაა ხსენებული მუხლი, რომლითაც თეორიულად ხდება სადაო აქტის გაბათილება, მაგრამ ვერ ხერხდება პირის ხელყოფილ უფლებებში პრაქტიკული და ქმედითი აღდგენა. შედეგად, ხელშეხებული მხარე ისევ ხელმყოფის ხელში ვარდება, ადმინისტრაციული ორგანო ისევ იმ გაუკუღმართებული ადმინისტრაციული წარმოებით ჯიჯგნის ისედაც ხელშეხებულ პირს და გადაუდებელი კანონიერი ინტერესის აღდგენის ნაცვლად, პირი უფრო გრძელვადიანად უმძიმეს სამართლებრივ მდგომარეობაში ვარდება, ადმინისტრაციული ორგანოც გადაწყვეტილების აღსრულებას არქმევს იგივე დარღვევებით, ისევ ანალოგიური შინაარსის მქონე აქტის მიღებას და მოსარჩელეს მეორე წრეზე უწევს ახლიდან სიარული მართლმსაჯულების ორგანოში. ხსენებულს მოწმობს საქართველოს სახელმწიფოს თანამედროვე რეალობაში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის პრაქტიკა 32.4 მუხლის აღსრულების თაობაზე. ამ ფონზე ადამიანის უფლებები აბუჩად აგდებულად გამოიყურება 32.4 მუხლის იმ სიტყვების მნიშვნელობა რაც მითითებულია იმავე ნაწილის მე-2 წინადადებაში, რომლის თანახმად, „სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი“.

ასეთ პირობებში სასამართლო ხელს უწყობს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე პირის დარღვეულ უფლებებში ყოფნას და იმავდროულად პრაქტიკულად არ აძლევს სამართლით დაცული სიკეთეებით რეალურად სარგებლობის საშუალებას დავის ინიციატორს.

მართლმსაჯულების სიკეთე არა პირის უფლებების დარღვევის თეორიული აღიარება-დადასტურებაა, არამედ - პრაქტიკული შედეგების მოტანა მოდავე პირისათვის, რაც არ ძალუძს დაუსაბუთებლად მიღებულ სასამართლო აქტს, რომელსაც ასევე დაუსაბუთებლად საფუძვლად უდევს ასკ 32.4 მუხლის გამოყენება. საზოგადოდ, მართლმსაჯულება არ ცხოვრობს სახელმწიფოს ინსტიტუტების ტრადიციული და რეალური პრაქტიკისათვის თვალის მიდევნების გარეშე, რაც ყოველთვის მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას. ასეთ პირობებში ასკ 32.4 მუხლის დაუსაბუთებელი გამოყენება ნოყიერ ნიადაგს უქმნის საჯარო დაწესებულებას თავაშვებული თვითნებობისათვის. საამისოდ კი სასამართლო წამახალისებელ სუბიექტად გვევლინება და ორივე სუბიექტი - სასამართლოც და ადმინისტრაციული ორგანოც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე პირის უფლებების ხელმყოფ სუბიექტებად გვევლინებიან. ასეთ პირობებში სასამართლო აქტის არანაირ დასაბუთებას სარგებელი აღარ აქვს, თუ პირის რეალური სამართლებრივი მდგომარეობა პრაქტიკულად აღუდგენელი რჩება.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად, „გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე“. ასეთზე მსჯელობას არ შეიცავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, მისით არც უდაო და არც სადაო ფაქტობრივი გარემოებებია სათანადოდ დადგენილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249.4 მუხლის თანახმად, „გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება“, ურომლისოდაც, სათანადო დასაბუთებული სამართლებრივი შეფასების გარეშე მიღებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377.1 და 2 მუხლის თანახმად, „სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით“ (უნივერსალური მითითებითი დათქმა).

თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის გათვალისწინებით, „სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ:

- ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;
- ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;
- გ) არასწორად განმარტა კანონი“.

აპელანტის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 და 33-ე მუხლების სახით გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და ამასთან, მისი ნამდვილი მნიშვნელობის უგულვებელყოფით არასწორად განმარტა ის, და დასაქმებული პირის სამსახურში, სასამართლო გადაწყვეტილების ძალით პირდაპირ აღმდგენი ნორმების სახით არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385.2 მუხლის თანახმად, „სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი“. 386-ე მუხლის თანახმად, „თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე“.



როგორც აღინიშნა, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. საამისოდ კი სააპელაციო სასამართლოს გააჩნია ყველა ის საპროცესო მექანიზმი, რაც აუცილებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ყოველმხრივი შემოწმებისა და საქმის სრულყოფილი, კომპლექსური განხილვისათვის. მართალია, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, თუმცა მას ასევე შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი, ანუ არსებითად განიხილოს საქმე და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება, თვითონ, პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის დაბრუნების გარეშე, გადაწყვიტოს საქმე, ემყარება საპროცესო ეკონომიის პრინციპს.

აპელანტი განმარტავს, რომ კეთილსინდისიერი მნიშვნელობით, სააპელაციო სასამართლო იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი დაუბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, როდესაც მას თვითონ არ შეუძლია სრულყოფილად გამოიკვილოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ შეამოწმებს მას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ ობიექტურად უნდა არსებობდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან გადაგზავნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი (სუს 31.03.2011წ. გადაწყვეტილება N1376-1340(კ-10).

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე წარმოშობილია სამართლებრივი საპროცესო ნორმის სწორი განმარტების აუცილებლობა, რაც ასევე ძალუძს სააპელაციო პალატას, აპელანტი მოითხოვს, საქმის ქვედა ინსტანციის სასამართლოში გადაგზავნის გარეშე სააპელაციო საჩივრისა და სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სააპელაციო პალატამ არსებითად გადაწყვიტოს მოცემული საქმე.

2. სააპელაციო პრეტენზია სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების ნაწილში მოცულობის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე:

აპელანტს დაუსაბუთებლად მიაჩნია სასამართლოს მსჯელობა სასამართლოსგარეშე ხარჯების იმ მოცულობით მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, როგორც ესაა გადაწყვეტილილი კანონიერ ძალაში შესასვლელად მომზადებულ შემოთავაზებულ გადაწყვეტილებაში.



აპელანტი მიუთითებს, რომ სასამართლოს დასაბუთებული არ აქვს, თუ საიდან მიღებულ, რა ჯამის ანაკრებ ოდენობას წარმოადგენს მის მიერ მითითებული მოცულობა და რატომ იყო გადაჭარბებული მოთხოვნილი მოსარჩელის მიერ.

აპელანტი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კრიტიკას ვერ უძლებს წარმომადგენლობით, საადვოკატო შრომის ბაზარზე არსებული მომსახურების ღირებულების რეალურ ოდენობას. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების შედეგად შრომის ადეკვატური ოდენობა უნდა დაეკისროს წაგებულ მხარეს და არა იმდენად მცირე, რომ მან ფორმალური ხასიათი შეიძინოს.

აპელანტი მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო საპროცესო ნორმის უმართებულო და არასწორი გამოყენების გზით მივიდა მცდარ გადაწყვეტამდე, რაც დაკისრებული თანხის ოდენობის მოცულობაში გამოვლინდა.

უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ადრე მოქმედი პირველი სექციის მიერ 2005 წლის 9 ივნისს განხილულ საქმეზე - „ფადეევა, რუსეთის წინააღმდეგ“ (Fadeyeva v. Russia) სასამართლომ ადვოკატის მომსახურებისათვის ხარჯის დასაკისრებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების 151-ე პუნქტით განმარტა, რომ ადვოკატისათვის გადასახდელ „თანხებს უნდა დაემატოს ის თანხა, რომელიც საჭირო იქნება მათზე დარიცხული გადასახადების ასანაზღაურებლად“. (საჩივარი N55723/00, ხსენებული გადაწყვეტილება საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს მიერ გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე კრებულში - „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული“, იხილეთ მე-4 ტომი (წიგნი), გვერდები 45-46. ინტერნეტ სივრცეში მოსაძიებლად იხილეთ ვებ-ბმულის მისამართი: <http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/archives/downloads/Cases4.pdf>), რაც არ აქვს გათვალისწინებული პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს ცალკეულ საქმეებზე.

აპელანტს საგულისხმოდ მიაჩნია, რომ საპროცესო კანონი საადვოკატო ჰონორარის ანაზღაურებას კანონით დათქმულ მაქსიმუმამდე ითვალისწინებს არსებითად რთული საქმეებისათვის. ის, რომ ხსენებული საქმე არ განეკუთვნებოდა ასეთს, ადასტურებს თავად სასამართლოს მოქმედებები, კერძოდ, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის სხვა დროისათვის გადადება (გადადებულის კვლავ გადადებაც), ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნულის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს



მოტივირებული განჩინება, რის შესახებაც სხდომის დასრულებისთანავე აცნობებს მხარეებს, და განსაზღვრავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღს.“

აპელანტს უდაოდ მიაჩნია, რომ ხსენებული მოქმედებები არსებობდა მოცემულ საქმეზე, მასზე გადაიდო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, რაც მოწმობს საქმის განსაკუთრებით რთულ კატეგორიას მიკუთვნებულობას, რაც შესაბამისად უნდა ასახულიყო საადვოკატო ჰონორარის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტის დროსაც მაქსიმალური ან მასთან მიახლოებული ოდენობით.

იმ პირობებში, როდესაც ადვოკატს პროფესიული შეცდომა საქმეზე არ დაუშვია, საქმეში არსებული მასალები მოწმობდა საქმეზე მის მუდმივ მიჯაჭვულობას, მნიშვნელოვანი დროის გამოყოფას საქმეზე, არსებითად რთული კატეგორიის საქმეზე მინიმალური ანაზღაურების დაკისრება მოწინააღმდეგე მხარისათვის საადვოკატო შრომის უპატივცემულობაა.

ამასთან, სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების გაწევის დამადასტურებელია თავად საქმის წარმოება და მასზე გაწეული ხარჯის გადაუვალობა.

ამდენად, აპელანტს მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება პროცესის სხვა ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილშიც და სააპელაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სრულად, სრული მოცულობით დაკმაყოფილდეს წარდგენილი შუამდგომლობა. ამ მიმართებით მიუთითებს საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკაზე.

3. სააპელაციო პრეტენზია მტკიცებით საქმიანობასთან - წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვაზე მოსარჩელისათვის უარის თქმის, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების საქმეზე დართვის, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებლისა და მისი თანმხლები დოკუმენტების საქმეზე დართვის, მოსარჩელის მიერ დასახელებული პირების მოწმეთა სახით დაკითხვაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ საოქმო განჩინებების შესახებ:

აპელანტი აღნიშნავს, რომ მტკიცებითი საქმიანობა მოქცეულია მკაცრ საპროცესო ჩარჩოებში და ისეთ პირდაპირ შედეგზე ჰპოვებს ასახვას, როგორცაა - შეჯიბრებითობა და დისპოზიციურობა.

როგორც წესი, წარდგენილი მტკიცებულება ან მის მოსამიებლად წარდგენილი შუამდგომლობა უნდა შეფასდეს მისი დასაშვებობის, შესახებობის, უტყუარობის, საკმარისობისა და საქმესთან მისი ურთიერთკავშირის კუთხით.



მიიღებს წარდგენილ მტკიცებულებებს ან მოძიებისათვის გამოითხოვს იმ მტკიცებულებებს, რომელთაც უნარი აქვთ დაადასტურონ ან უარყონ სადაო იურიდიული ფაქტები.

აპელანტი მიუთითებს, რომ მტკიცებულებათა განკუთვნილობისა და შესახებობის არსი მდგომარეობს მასში, რომ სასამართლომ უნდა მიიღოს და გამოიკვლიოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის განხილვა-გადაწყვეტისათვის.

აპელანტი განმარტავს, რომ მტკიცებულებას მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც ის პირდაპირ დაკავშირებულია მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებთან. სასამართლოს ამოცანაა, რომ მტკიცებულებითი მასალებიდან შეარჩიოს ის მასალები, რომელიც საქმეს შეეხება და განეკუთვნება. მტკიცებულებათა განკუთვნილობის წესს საფუძვლად უდევს მტკიცებულების შინაარსსა და დასამტკიცებელ ფაქტებს შორის ობიექტური კავშირი.

აპელანტი მიუთითებს, რომ მტკიცებულებათა შესახებობისა და განკუთვნილობის შესახებ ნორმა მიმართულია სასამართლოს მიმართ, ის ვალდებულია დადგენილი წესების დაცვით მოაწესრიგოს მტკიცებულებათა წარდგენის, გამოთხოვის პროცესი, რათა საქმეში აუცილებელი და საკმარისი მტკიცებულებითი მასალა დარჩეს, შეირჩეს, არ გადაიტვირთოს საქმე ფუჭი, საქმისათვის არანაირი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებებით. სხვა სიტყვებით, მტკიცების საგანს უნდა შეადგენდეს მხოლოდ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები და გარემოებები, ისეთები, რომლებიც საშუალებას წარმოადგენს დავის გადასაწყვეტად.

ამიტომაცაა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ“.

აპელანტი მიუთითებს, რომ სამართლის ლიტერატურაში მიღებული განმარტების თანახმად, მტკიცებულება კანონით დადგენილი წესით მიღებული ცნობაა ფაქტ(ებ)ის შესახებ (ფაქტობრივი მონაცემები), რომელთა საფუძველზეც სასამართლო დაადგენს იმ გარემოებების არსებობას ან არარსებობას, რომელიც ასაბუთებენ მხარის მოთხოვნებსა და შესაგებელს და სხვა იმ გარემოებების არსებობას ან არარსებობას, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად განხილვისა და გადაწყვეტისათვის. მტკიცებულებათა ცნობები ფაქტის შესახებ და მტკიცებულებითი ინფორმაცია, როგორც ცნობა.

ალიბი, როგორც იურიდიული ფაქტი საჭიროებს დადასტურებას მტკიცებულების მეშვეობით.



აპელანტი განმარტავს, რომ საპროცესო დანაწესები კრძალავენ ინფორმაციის მიღებასა და მტკიცებულებათა შეკრებას საკანონმდებლო ჩანაწერების (მათ შორის თავად საპროცესო) ნორმების დარღვევის მეთოდებით. სხვა სიტყვებით, მტკიცებულების მოძიებისას მხარე კეთილსინდისიერი უნდა იყოს კანონით დადგენილი აკრძალვების წინაშე და მოძიებული მასალა კანონით დადაგენილი წესით უნდა იყოს მიღებული, საიმიხოდ, რომ ის გამოყენებული იქნას სასამართლო სხდომაზე.

აპელანტის განმარტებით ბუნებრივია, მოწმის ჩვენება მტკიცებულებითი მნიშვნელობისა შეიძლება აღმოჩნდეს და მას მოძიების პროცესში ისეთივე მოთხოვნები წაეყენება, როგორც სხვა სახის მტკიცებულებას. თანაბარია ყველა დასახელებული საპროცესო სტანდარტი მისი მოპოვებისას. ამდენად, ალტერნატივა არ აქვს იმას, რომ სასამართლო აგროვებს მხოლოდ ისეთი სახის მტკიცებულებებს, რომლებიც საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს ადასტურებენ.

აპელანტი ხაზგასმით, გამოკვეთილად აღნიშნავს, რომ სტაბილური, მყარი, ქვემდგომი სასამართლოების შეცდომების ანაზღაურება განზოგადებული ზედა ინსტანციების საუკეთესო სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესებიდან გამომდინარე, სასამართლომ სამოქალაქო საქმეზე კანონით დადგენილი წესით (დასაშვებობისა და განკუთვნიადობის პრინციპით) მიღებული ყველა მტკიცებულება უნდა შეაფასოს“, რაც საკასაციო სასამართლოს მხრიდან გახდა გადაწყვეტილებების გაუქმების საფუძველი (იხ. სუს 2010 15.03.11 განჩინება №ას-1193-1053 საქმეზე); ანალოგიური საქმეებია: სუს №ას-1264-1111-2011 23.03.11; №ას-213-200-2011 21.06.11; №ას-576-544-2011 06.10.11; №ას-856-806-2010 17.02.11; №ას-940-886-2010 13.01.11; №ას-404-384-2011 15.07.11; №ას-1384-1220-2010 12.05.11; №ას-776-830-2011 27.06.11; №ას-565-533-2011 09.06.11; №ას-889-837-2010 14.03.11.

აპელანტი მიუთითებს, რომ ამ მიმართებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იგივე შეცდომები დაადასტურა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/35-10 - 29.04.10; №2ბ/2359-10 - 20.10.10; №2ბ/3881-10 - 02.02.11; №2ბ/1316-10 - 02.08.10; №2ბ/3251-10 - 13.01.11; №2ბ/1613-10 - 25.03.11; №2ბ/3897-10 - 14.02.11 და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/377-10 - 16.06.10; №2/ბ-796 - 03.11.10; №2ბ/439-2010 - 30.06.10 საქმეებზე გამოტანილი გასაჩივრებული გადაწყვეტილებების განხილვისას (იხ. ინფორმაცია და განზოგადების მასალები უზენაესი სასამართლოს 2011-2012 წლებისა და 2013 წლის 6 თვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ, ვებ-ბმულის მისამართი: www.supremecourt.ge).

არსებული არასწორი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლოები მხარეთაგან დებულობენ ან გამოითხოვენ მტკიცებულებებს და მათ შემდგომში



გადაწყვეტილებით საერთოდ არ აძლევენ შეფასებას, არ მსჯელობენ მასზე კონკრეტულ მასალას მიენიჭა თუ არა მტკიცებულებითი ძალა, დადასტურდა თუ არა რაიმე მისით, მაშინ როდესაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი სასამართლოს ავალდებულებს შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დაასაბუთოს მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას.

აპელანტს უდაოდ მიაჩნია, რომ დასაშვებობისა და განკუთვნიადობის პრინციპით მიღებულ ყველა მტკიცებულების სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილებით შეფასებას ალტერნატივა არ აქვს, თუმცა ამ ყველაფერს წინ უნდა უძღოდეს სწორი საპროცესო საქმიანობა ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილით („სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ“).

აპელანტი მიუთითებს, რომ მტკიცებულებათა შეფასება აზროვნების აქტია, გონების ლოგიკური ოპერაციაა, რაც გადმოცემული უნდა იყოს დამაჯერებლად ახსნილ და დასაბუთებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში. სხვა სიტყვებით, მტკიცებულებათა შეფასება, როგორც აზროვნების აქტის შედეგები ვლინდება შეფასების შედეგების გარეგან გამოხატულებაში, რომლის ასახვისათვის გამოყენებული უნდა იქნას საპროცესო დოკუმენტის - სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი. მხარეს უნდა შეეძლოს დაადგინოს, თუ აზროვნების რა გზა განვლო სასამართლომ მტკიცებულებათა შეფასებისას კონკრეტული შედეგების მიღებამდე.

ამდენად, აპელანტს უალტერნატივოდ მიაჩნია, რომ მტკიცებულებად დაშვებამდე, საქმეზე დართვამდე ის უნდა შემოწმდეს მისაღებობისათვის, ასეთი შემოწმების შედეგები უნდა დასაბუთდეს, ხოლო მიღებულ მასალებზე უნდა არსებობდეს მსჯელობა კონკრეტული მასალის მტკიცებულებითი ძალის მინიჭებაზე, ან ასეთ უარზე, ხოლო მტკიცებულებად ცნობილ მატერიას უნდა მიეცეს საბოლოო კულმინაციური, ფინალური შეფასებები შემაჯამებელი საპროცესო აქტით.

აპელანტს განხილული საპროცესო წესრიგის საწინააღმდეგოდ მიაჩნია გასაჩივრებული საოქმო განჩინებები წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვაზე მოსარჩელისათვის უარის თქმის, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების საქმეზე დართვის, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებლისა და მისი თანმხლები დოკუმენტების საქმეზე დართვის, მოსარჩელის მიერ დასახელებული პირების მოწმეთა სახით დაკითხვაზე უარის თქმის თაობაზე, ხოლო მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ დაშვებულ მტკიცებულებებს შემაჯამებელი საპროცესო აქტით არანაირი შეფასებები არ აქვს.



უფრო მეტიც, მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული შინაარსის მქონე, ერთი თარიღისა და ნორმის მქონე დოკუმენტები, ისეა ცნობილი და დაშვებული მტკიცებულებებად, რომ არაა დასაბუთებული რატომ იყო აუცილებელი განმეორებით და განმესამებით მათი დაშვება საქმეზე, რას ადასტურებდნენ, რას უარყოფდნენ ისინი, რა შემხებლობაში იყვნენ ისინი საქმესთან და ა.შ.

საოქმო განჩინებას წაეყენება სწორედ ის პრეტენზიები და მოთხოვნები, რაც ზოგადად სასამართლო აქტს, რომ ის დასაბუთებული უნდა იყოს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სასამართლო „განჩინებაში უნდა აღინიშნოს მოტივები, რომლითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე“. მოცემულ შემთხვევაში აპელანტი საერთოდ ვერც კი ხვდება მსჯელობას ისეთზე, რასაც დაუსაბუთებლობის დასკვნამდე მიყავს.

ამდენად, აპელანტი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული საოქმო განჩინებები წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვაზე მოსარჩელისათვის უარის თქმის, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების საქმეზე დართვის, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებლისა და მისი თანმხლები დოკუმენტების საქმეზე დართვის, მოსარჩელის მიერ დასახელებული პირების მოწმეთა სახით დაკითხვაზე უარის თქმის თაობაზე უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის მიერ კანონის დარღვევით მათ შესახებ მიღებული საოქმო განჩინებების გამო, ვინაიდან მისი მიღებისას დარღვეულია საპროცესო კანონი, სასამართლომ არ გამოიყენა საპროცესო კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ამასთან არასწორად განმარტა ის. ასევე ხსენებული აქტები იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მათი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

4. სააპელაციო პრეტენზია პირველი ინსტანციის სასამართლოს საოქმო განჩინებაზე საქმის არსებითი განხილვის დროს განხილვის საკუთარი ინიციატივით შეწყვეტისა და სხვა დროისათვის ზეპირი მოსმენის გადადების თაობაზე:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, „საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

აპელანტი მიუთითებს, რომ სასამართლოს მენეჯერული პრობლემები (საქმეთა დიდი რიცხოვნობა, მოსამართლეთა ნაკლები რაოდენობა, სასამართლოს აპარატის არასაკმარისი პროფესიონალიზმი, ეფექტიანობაზე არსებული გამოწვევებისადმი სათანადო პასუხის გაუცემლობა, საქმეთა ნაკადის მართვის უნარის არქონა, მოსამართლის გადატვირთულობა, სხვა საქმის განხილვის დაწყება არასწორად და არაეფექტურად დაგეგმილი მოსამართლის გრაფიკის გამო) ქმნის არა შემდგარი სხდომის გადადების, არამედ ამ მოსამართლის სანაცვლოდ სხვა მოსამართლის



გასამწესებლად შერჩევის აუცილებლობის წინაპირობას დანიშნული სასამართლო სხდომის ჩატარების ინტერესებიდან გამომდინარე და არა მუდმივად გადადების და ვერ დასრულების აუცილებლობას.

სასამართლო სხდომის დანიშნულ დროს ჩატარებისა და საქმის დროული დასრულების ინტერესი ნორმატიულად ვლინდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის გათვალისწინებით, „სასამართლო იღებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზომებს, რათა საქმის განხილვა დამთავრდეს რაც შეიძლება სწრაფად - ერთ სასამართლო სხდომაზე და, თუ შესაძლებელია, - შესვენების გარეშე“.

აპელანტი მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეში არსებული სხდომის ოქმებიდან ვლინდება, რომ წარმართული სხდომები გადადებული იქნა სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით და ისიც დაუსაბუთებლად, მოტივის აუხსნელად, ყოველ შემთხვევაში არა იმ მიზეზებით, რასაც საპატიოდ ითვალისწინებს საპროცესო კანონი. აპელანტი მიიჩნევს, რომ პროცედურული სამართლის უპატივცემულობას მიჰყავს სწორედ არასწორ გადაწყვეტამდე. სასამართლოს ქცევა უნდა ტოვებდეს შთაბეჭდილებას, რომ სასამართლო საპროცესო სამართლის ზუსტი დაცვით ხელმძღვანელობს და არა საკუთარი პიროვნული სამართლით, ან არსებული მახინჯი და გაუმართლებელი პრაქტიკით ან მიზანშეწონილობით.

აპელანტი მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლომ ვერ უზრუნველყო საქმის განხილვის უწყვეტობის პრინციპის შესრულება, ვინაიდან მნიშვნელოვანი პერიოდის მანძილზე განსახილველი საქმის მიმართ არანაირი საპროცესო მოქმედება არ შესრულებულა და სასამართლოს საქმესთან მჭიდრო კონტაქტი აღარ ჰქონია, რეალურად შეწყდა სწრაფი, ეფექტური და ქმედითი მართლმსაჯულება სასარჩელო მოთხოვნებზე.

აპელანტი აღნიშნავს, რომ სადაოდ ქცეული უფლების დაცვის მიზნით, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არაა თეორიული, ფიქციური და ილუზორული უფლება, ის არაა ორიენტირებული შეუსაბამოდ არაგონივრულად მნიშვნელოვანი დროის გასვლის შემდეგ რაიმე უფლებების დადგენა-გარკვევაში, ვინაიდან სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას მოჰყვება კანონიერი მოლოდინი იმისა, რომ დამოუკიდებელ საწყისებზე შექმნილი ობიექტური და სამართლიანი სასამართლო მოდავე მხარეთა პრეტენზიებს განიხილავს საამისოდ დადგენილ ვადაში და სასამართლო ცალკე დამატებით დამოუკიდებელ ხელმყოფ სუბიექტად არ მოველინება მხარეს. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება დროში არსებული ფასეული სიკეთეა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მართლმსაჯულების დამოუკიდებლად განხორციელების აღქმაში. სხვა სიტყვებით, სასამართლოს ქცევები უნდა ადასტურებდეს, რომ ის კანონის საფუძველზე იხილავს საქმეს და არა კანონით



დადგენილი წესების, კერძოდ, საპროცესო ვადების დარღვევით და საკუთარი შეხედულებებით ანდა საკუთარი კომფორტისათვის შესაბამის დროს.

აპელანტი მიიჩნევს, რომ სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს თუ რა ვადაში უნდა დასრულდეს ყველა საპროცესო მოქმედება კონკრეტული კატეგორიის საქმისათვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის ძალით მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 თვისა“.

აპელანტს საგულისხმოდ მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით საგამონაკლისო ვადებში განსახილველ საქმეებზე, საქმის განხილვის საპროცესო ვადების გაგრძელებას არ ითვალისწინებს საპროცესო კანონი.

აპელანტს მიაჩნია, რომ ის, რომ საერთოდ სხდომის გადადებას ითვალისწინებს კანონი, არ ნიშნავს იმას, რომ ამ კანონზე მითითებით შესაძლებელია ნებისმიერი სხდომა უმოტივოდ გადაიდოს. კანონის ნორმა თავად არაა დასაბუთება და მართოდენ მისი მითითებით სასამართლო აქტი დასაბუთებულ სახეს, გარეგნობას და მნიშვნელობას ვერ იძენს, კანონის ნორმა შესაძლებლობაა, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოება მისადაგებული იქნას კანონში აღწერილთან (ე.წ. „სუბსუმცია“), რაც დასაბუთებაში ვლინდება. ამ კუთხით გასაჩივრებული აქტი დაუსაბუთებელია და ის საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოა.

აპელანტი განმარტავს, რომ საქმის განხილვის გადადების თაობაზე საოქმო განჩინებას წაეყენება სწორედ ის პრეტენზიები და მოთხოვნები, რაც ზოგადად სასამართლო აქტს, რომ ის დასაბუთებული უნდა იყოს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სასამართლო „განჩინებაში უნდა აღინიშნოს მოტივები, რომლითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე“. მოცემულ შემთხვევაში აპელანტი საერთოდ ვერც კი ხვდება მსჯელობას ასეთზე.

აპელანტი მიუთითებს, რომ საოქმო განჩინებების თანახმად არ დგინდება, თუ რატომ მიიღო სასამართლომ საკუთარი ინიციატივით სხდომის გადადების გადაწყვეტილება, რა სახის შექმნილი ვითარება ამართლებდა ამ გადაწყვეტილებამდე მისვლას.

აპელანტს მიაჩნია, რომ ის, რომ პრაქტიკა აჩვენებს იმას, რომ ასეთი განჩინებები არ საჩივრდება მხარეების მხრიდან, არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ არ შეიბოჭოს თავი სამართლით და მახინჯ სტერეოტიპს გაჰყვეს გაუაზრებლად მუდამ. სამართლიანობა მიიღწევა კანონის უზენაესობის პატივისცემის ქცევით თავად იმ



პირის ქცევებით, ვინც ეს უნდა ძალისმიერად უზრუნველყოს. სხვა სიტყვებით, თავად მოსამართლის ქცევა უნდა იყოს კანონის უზენაესობის პატივისცემის დადასტურება.

ამდენად, აპელანტს მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასახელებული საოქმო განჩინებ(ებ)ი საქმის არსებითი განხილვის დროს, განხილვის საკუთარი ინიციატივით შეწყვეტისა და სხვა დროისათვის ზეპირი მოსმენის გადადების თაობაზე, როგორც უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი სასამართლო აქტები.

5. სააპელაციო პრეტენზია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს იმ საოქმო განჩინებაზე, რომლითაც საქმეზე მოსმენის დასრულების შემდგომ შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად სასამართლო სხდომა გადაიდო სხვა დროისათვის:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნულის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რის შესახებაც სხდომის დასრულებისთანავე აცნობებს მხარეებს, და განსაზღვრავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღს.“

აპელანტს უდაოდ მიაჩნია, რომ ხსენებული ნორმის პირველი წინადადება ითვალისწინებს, რომ, როგორც ნორმალური წესი, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

აპელანტი განმარტავს, რომ საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადება საგამონაკლისო ნორმაა და არა მუდმივი წესი. ასეთი უნდა განხორციელდეს თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია და ისიც გამონაკლის შემთხვევაში. ამ უკანასკნელ შემთხვევას დასაბუთების ალტერნატივა არ აქვს.

აპელანტისთვის მიუღებელია და საპროცესო სამართლის უპატივცემულობად მიაჩნია, რომ სასამართლო ხსენებულ ნორმას იყენებდეს ყველა საქმის მიმართ და უმოტივაციოდ „ნათლავდეს“ მის განხილვაში მყოფ ყველა საქმეს „არსებითად რთულად გადასაწყვეტად“, ყველა საქმე ჰკიდებდეს ასეთ იარლიყს.

აპელანტისთვის ცალსახაა, რომ საპროცესო კანონი ამ შემთხვევისათვის ითვალისწინებს დასაბუთებულ და მოტივირებულ განჩინების გამოტანის



აუცილებლობას. ამ უფლების გამოყენებას მოსდევს მოსამართლის ვალდებულება მოტივირებული განჩინების გამოტანისა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სასამართლო „განჩინებაში უნდა აღინიშნოს მოტივები, რომლითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე“. მოცემულ შემთხვევაში აპელანტი მიუთითებს, რომ საერთოდ ვერც კი ხვდება მსჯელობას ასეთზე.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტს მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს საოქმო განჩინება საქმეზე ზეპირი მოსმენის დასრულების შემდგომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად საქმის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე.

6. აპელანტს საგულისხმოდ მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არაა გადაწყვეტილი სასარჩელო მოთხოვნები და შუამდგომლობები, რომელიც წარდგენილი იყო სარჩელით. ესენია:

- ა) განაცდური ხელფასის ანაზღაურება;
- ბ) გამოუყენებელი კუთვნილი შვებულების ნატურით ანაზღაურება;
- გ) გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების საკითხი. (იხ. სასარჩელო მოთხოვნები).

აპელანტის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების არასრულობას მიუთითებს ხსენებული საკითხების მოსამართლის მხრიდან გადაუწყვეტობა, რაც საჭიროებს სწორი საპროცესო მექანიზმებით მოწესრიგებას, დაშვებული სასამართლო შეცდომის შემდგომ სასამართლოში გამოსწორებას.

აპელანტი მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თავისი არსით წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (სსკ-ის 249-ე მუხლის მეხუთე ნაწილი).

ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კანონით გათვალისწინებულ ყველა ნაწილს (სსკ-ის 249-ე მუხლები) და რომელიმე მათგანის სათანადოდ ან საერთოდ არარსებობა, ხშირ შემთხვევაში იწვევს მის გაუქმებას (სსკ-ის 393-ე, 394-ე მუხლები). გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს. მასში უნდა აისახოს სასამართლოს შემეცნებითი მსჯელობა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებითი მსჯელობა ამ ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და ამავდროულად გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების



უფლება იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი.

აპელანტი აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით სამართლებრივი წესრიგის დადგენა შესაძლებელია რა მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულებით, ამ მიზნით აღსასრულებლად წარიმართება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია და მისი სამართლებრივი შედეგები თვით კონსტიტუციითა რეგლამენტირებული. ამდენად, იგი უნდა იყოს ცხადი და იძლეოდეს ზუსტ პასუხს ყველა სადაოდ ქცეულ მოთხოვნებზე, რომლის საწინააღმდეგოა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

აპელანტი გამოუყენებელი კუთვნილი შვებულების ნატურით ანაზღაურებასთან მიმართებაში დამატებით აღნიშნავს, რომ „ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენციის (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით) მე-5 მუხლი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს მონაწილე სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი წესებისა და კანონების არსებობას, რომლითაც დასაქმებულმა შესაძლოა დაკარგოს ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამდენად, ნორმის შეფარდების პროცესში საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები შიდაეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად უშუალოდ გამოიყენება.

აპელანტი განმარტავს, რომ 1948 წლის 10 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით) 24-ე მუხლის მიხედვით ყველას აქვს პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება.

აპელანტი სასამართლოების ყურადღებას მიაქცევს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 მარტის განჩინებაში (სამოქალაქო საქმეზე № ას-836-1122 თ.ც.ძის სარჩელისა გამო ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ), ჩამოყალიბებულ სამართლებრივ განმარტებებსა და სასამართლო დასკვნებს გამოუყენებელი საშვებულებო დახმარების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4



ივნისის კონვენციის (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით, ძალაშია 1997 წლის 22 ივნისიდან) მე-6 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც გათავისუფლებულია მეწარმის მიზეზით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს.

აპელანტი განმარტავს, რომ განსახილველი ნორმით გათვალისწინებული პირობების არსებობისას დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს იმ წელს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით დასაქმებულს არ შეიძლება წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა.“

აპელანტს მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეებზე ჩამოყალიბებული აღნიშნული განმარტება და სასამართლო დასკვნა სავსებით ესადაგება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სივრცეში საჯარო შრომითი ურთიერთობების სწორ და კანონშესაბამის მოწესრიგებას, შრომითი უფლებების რეალიზაციის ხასიათის იდენტურობის გამო.

საქმის მასალებით დგინდება, რომ აპელანტი დათხოვნილია დამსაქმებლის ბრძანებით, ესე იგი, თავად დამსაქმებლის ინიციატივით, შესაბამისად, მოთხოვნა გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანია „ყოველწლიური ფასიანი შვებულების“ შესახებ კონვენციის მე-6 მუხლის, შიდაეროვნული კანონმდებლობისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სწორი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით.

აპელანტი განმარტავს, რომ ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლების განხორციელებისას, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს გააჩნია აქტიური სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ მან არათუ ხელი არ უნდა შეუშალოს აღნიშნული უფლებით სარგებლობას, არამედ – უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა.

ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ ამ უფლების სამართლიანი რეალიზება.

აპელანტი მიიჩნევს, რომ სასამართლოებმა სამართალშეფარდების პროცესში არ გამოიყენეს კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინათ და გამოიყენეს კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინათ.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია ნორმატიული აქტების იერარქია მათი იურიდიული ძალის მიხედვით, რაც მნიშვნელოვანია



გამოყენებულ იქნას დავის არსებითად სწორად გადაწყვეტისათვის და საერთაშორისო აქტის გამოყენებას არ უნდა უშინდებოდეს სასამართლო.

აპელანტი განმარტავს, რომ მისი სამსახური წარმოადგენს საჯარო სამსახურს თანამედროვე ბიუროკრატიული აპარატის სისტემაში. 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მოსამსახურეთათვის დგინდება ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით.

აპელანტი არ იზიარებს დაუსაბუთებელ მოსაზრებას მასზე, რომ კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების გამოყენებლობა ანდა ასეთი მოთხოვნის დამსაქმებლისათვის წარუდგენლობა იწვევს შვებულების ანაზღაურების უფლების დაკარგვას, ვინაიდან შვებულების ანაზღაურების უფლება დათხოვნის შესახებ ბრძანების არარსებობის ან მისი თუნდაც გასაჩივრების გარეშეცაა გარანტირებული (სუს 25 ივნისი 2013 წ. გადაწყვეტილება №ბს-98-91(კ-13) საქმეზე).

ამდენად, აპელანტი მიიჩნევს, რომ ხსენებულ ნაწილში მოთხოვნა იურიდიულად დასაბუთებულია და დაუშვებელია მასზე უარის თქმა და სააპელაციო პალატას თხოვს ხსენებულ საკითხზე გულმოდგინე გულისხმიერებით იმსჯელოს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შესაბამისი სამართლებრივი შეფასებების შედეგად დააკმაყოფილოს სარჩელი.

აპელანტი ითხოვს, გადაწყვეტილების გაუქმებას და სააპელაციო პალატაში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებას.

7. სააპელაციო საჩივარში შუამდგომლობის სახით წარმოდგენილია აპელანტის მოთხოვნები, რომლითაც მოთხოვნილია სააპელაციო განხილვის ეტაპზე მოწინააღმდეგე მხარისათვის სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები“. ამავე მუხლის თანახმად, "სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები..."

დასახელებული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-3 წინადადების მოხმობით, "იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა", რომელიც ქონებრივი დავის დროს გულისხმოს ანაზღაურებას დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტამდე



ოდენობით, ხოლო არაქონებრივი დავის დროს განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით – 2000 ლარამდე ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების (როგორც სასამართლო, ასევე არასასამართლო ხარჯების) გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან“. გარდა საპროცესო ნორმებისა, ხსენებული მოთხოვნის მხარდამჭერი სამართლებრივი საფუძველია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებიც, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“.

საგულისხმოა მოცემულ საკითხთან დაკავშირებული მყარი, სტაბილური და 2012 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული განზოგადებული სასამართლო პრაქტიკაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ Nბს-1330-1315(კ-11) საქმეზე 2012 წლის 9 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილებით თანახმად, "საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის გაწეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მესამე ნაწილი). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მხარის მიერ გაწეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია." "საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ოდენობის გამოთვლის წესი, რომელიც უნდა იყოს გონივრული და შეესაბამებოდეს დავის საგნის ღირებულებას, კერძოდ დადგენილია, რომ ქონებრივი დავის დროს ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო არაქონებრივი დავის დროს განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით 2 000 ლარამდე ოდენობით" (სტილდაცული ციტატა) (ხსენებული გადაწყვეტილება იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდის ბმულზე, ბმულის მისამართი: <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>).



ადვოკატების ხარჯების ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებული ხსენებული მიდგომა თავსებადია და გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული (სტრასბურგის) სასამართლოს დამკვიდრებული ევროპული სტანდარტიდანაც. კერძოდ, ევროპული სასამართლო მაშინაც აკისრებს ხელმყოფ პირს ადვოკატის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურებას, როდესაც სამართალწარმოებაში მონაწილე პირს არ გადაუხდია ადვოკატის მომსახურებისათვის გათვალისწინებული თანხა ან თუნდაც წარმომადგენლობა განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ქველმოქმედების სახით. ევროპული სასამართლოს მეორე სექციის მიერ 2012 წლის 2 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე - „კაკაბაძე და სხვები (კერძოდ, ლაშა ჩხარტიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ზურაბ რთველიაშვილი და დავით დალაქიშვილი) საქართველოს წინააღმდეგ“ განიმარტა - „სასამართლო შენიშნავს, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და EHRAC-ის ქართველმა და ბრიტანელმა ადვოკატებმა მომჩივნებს გაუწიეს საჭირო იურიდიული დახმარება. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ქართულ საქმეებში ამ ორი NGO-ს ადვოკატთა გუნდი სამართალწარმოების დროს არ შეიძლება დარჩეს კომპენსაციის გარეშე. აქედან გამომდინარე სასამართლო მომჩივნებს მიაკუთვნებს 3.970 ევროს (NGO-ს ქართველი ადვოკატებისათვის) და 1.970 ფუნტ სტერლინგს (NGO-ს ბრიტანელი ადვოკატებისათვის) მათ მიერ გაწეული შრომის ანაზღაურების მიზნით. კერძოდ ორი ქართველი და ერთი ბრიტანელი ადვოკატისათვის“ (საჩივრის N1489/07, სასამართლოს სექციის გადაწყვეტილება საბოლოო გახდა 2013 წლის 2 იანვარს. ხსენებული გადაწყვეტილება იხილეთ ქართულ ენაზე სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს ოფიციალურ ვებ-გვერდის ბმულზე, გამოქვეყნდა 10/01/2013; ბმულის მისამართი:https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1815564&lang=ge#).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ადრე მოქმედი პირველი სექციის მიერ 2005 წლის 9 ივნისს განხილულ საქმეზე - „ფადეევა, რუსეთის წინააღმდეგ“ (Fadeyeva v. Russia) სასამართლომ ადვოკატის მომსახურებისათვის ხარჯის დასაკისრებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების 147-ე პუნქტით განმარტა, „სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ წარმოუდგენია მასსა და მის ადვოკატებს შორის დადებული რაიმე წერილობითი ხელშეკრულება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს. რუსული კანონმდებლობის თანახმად, „ხელშეკრულება იურიდიული, საკონსულტაციო-საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმითაც და არაფერი აჩვენებს, რომ ეს ასე არ იყო განცხადებელსა და წარმომადგენლების შემთხვევაში. მაშასადამე, ადვოკატების ჰონორარები ანაზღაურებადია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და რეალურია. ამ დასკვნაზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ განმცხადებელს არ ეკისრებოდა ამ თანხების წინასწარ გადახდის მოვალეობა“. უფრო



მეტიც, ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საკითხთან მიმართებაში მსჯელობისას იგივე გადაწყვეტილების 151-ე პუნქტით განმარტა, რომ ადვოკატისათვის გადასახდელ „თანხებს უნდა დაემატოს ის თანხა, რომელიც საჭირო იქნება მათზე დარიცხული გადასახადების ასანაზღაურებლად“. (საჩივარი N55723/00, ხსენებული გადაწყვეტილება საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს მიერ გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე კრებულში - „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული“, იხილეთ მე-4 ტომი (წიგნი), გვერდები 45-46. ინტერნეტ სივრცეში მოსაძიებლად იხილეთ ვებ-ბმულის მისამართი: <http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/archives/downloads/Cases4.pdf>).

საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მესამე სექციის მიერ განხილულ საქმეზე - „გივი ჯანიაშვილი, საქართველოს წინააღმდეგ“ 2012 წლის 27 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებით დგინდება, რომ მოპასუხე სახელმწიფომ თავად „აღიარა, რომ მომჩივანი გასწევდა გარკვეულ იურიდიულ ხარჯებს და სთავაზობს სასამართლოს, მომჩივანს მიაკუთვნოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად დადგენილი გონივრული თანხა“. გარდა ამისა „სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივანმა არ წარმოადგინა ქვითარი, რომელიც დაადასტურებდა დანახარჯებისა და ადვოკატის გასამრჯელოს გადახდას მისი მხრიდან. თუმცა როგორც მთავრობამ აღიარა, მომჩივნისთვის გაწეული იურიდიული დახმარება არ იქნებოდა უფასო“. მიუხედავად ამისა, „საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლოს გონივრულად მიაჩნია მომჩივნისთვის 1.000 ევროს მიკუთვნება მის წინაშე წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურების სახით.“ (საჩივარი N35887/05, გადაწყვეტილება საბოლოო გახდა 27/02/2013; ხსენებული გადაწყვეტილება იხილეთ ქართულ ენაზე სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს ოფიციალურ ვებ-გვერდის ბმულზე, გამოქვეყნდა 19/04/2013; ბმულის მისამართი: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1899856&lang=ge#).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, „გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი“, ხოლო იგივე კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, „გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით“.

სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი სანოტარო წესით შედგენილი და დადასტურებული დოკუმენტით გათვალისწინებული შინაარსი თავსებადია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლთან, რომლის თანახმად, „დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე“. იგივე კოდექსის იგივე მუხლის



710-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი“.

„დავალების ხელშეკრულება მიეკუთვნება ხელშეკრულებათა იმ ტიპს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. დავალების ხელშეკრულება ორმხრივი, კონსესუალური ხელშეკრულებაა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 სექტემბრის განჩინება საქმეზე Nას-39-489-06)“. კონსესუალურია, ვინაიდან იგი დადებულად ითვლება მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან. ხოლო ორმხრივია, რადგან მისი ორივე მხარე ერთდროულად იძენს უფლებებს და იღებს ვალდებულებებს მეორე მხარის მიმართ“. „სახეზე გვყავს „ერთი მხრივ, მარწმუნებელი, რომელიც დავალების მიმცემია და ამ სახის ურთიერთობაში კრედიტორის როლში გამოდის, ხოლო მეორე მხრივ, რწმუნებული, რომელიც კისრულობს დავალებული მოქმედებების განხორციელებას და მონაწილეობს მოვალის მხარეზე“.

„ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედებების შესრულება. ეს მოქმედებები მიმართულია მარწმუნებლისათვის მესამე პირებთან ურთიერთობებში გარკვეული სუბიექტური უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტისკენ“.

„სსკ 709-ე მუხლი მიუთითებს, რომ რწმუნებული მოქმედებს მარწმუნებლის სახელით და მარწმუნებლის ხარჯზე. შესაბამისად, დავალების ხელშეკრულების საფუძველზე რწმუნებულის მიერ დადებული გარიგებებით, მესამე პირებთან უფლება-მოვალეობები წარმოშობა უშუალოდ მარწმუნებელს“.

დავალების ხელშეკრულების ფორმაზე კანონი არ მიუთითებს, ამიტომ ფორმის საკითხის განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ საერთო წესებით გარიგების ფორმის შესახებ“. იგი შეიძლება გაფორმდეს როგორც ზეპირად, ისე წერილობით“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი - „ადვოკატი“, 2014 წელი, N4, „დავალების ხელშეკრულების მნიშვნელობა და ძირითადი მახასიათებლები“, ავტორი სოფიო ბერიანიძე, იხ. გვერდები 51-58).

ამდენად, ქართული საპროცესო სამართლის საფუძველით, და ასევე არამარტო, შიდასახელმწიფოებრივი, არამედ ევროპული მყარი სასამართლო პრაქტიკის მხედველობაში მიღებითაც გამართლებული და მხარდასაჭერია ხსენებული მოთხოვნის სასამართლოს მხრიდან დაკმაყოფილება.



გაზიარებული ანალოგიური დასაბუთებით, იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება N330210014592339 (N2/15800-2014) საქმეზე (მოსამართლე შორენა ჯანხოთელი, მხარდაჭერილი ზემდგომი სასამართლოების მიერ) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება N330310014642520 (N3/4193-2014) საქმეზე (მოსამართლე ლელა ცანავა).

საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართალწარმოებისათვის გაღებული ხარჯების, ოდენობის, მათი ანაზღაურების წესსა და პირობებს. პროცესის ხარჯები, რომელიც შედგება სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯებისაგან წარმოადგენს მხარეთა მიერ მატერიალური უფლებების დასაცავად (აღსადგენად, მოსაპოვებლად) გაწეულ ხარჯებს, რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს სარჩელზე დამდგარი იურიდიული შედეგის შესაბამისად და პროპორციულად, როგორც პროცესუალური მოთხოვნა. სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, ისევე, როგორც საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა სხვა პროცესუალური მოთხოვნა არ შეიძლება წარმოადგენდეს ცალკე, დამოუკიდებელი სარჩელის, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დამოუკიდებელ ობიექტს, ვინაიდან სარჩელი აღიძვრის იმ უფლებათა დასაცავად, რომლებიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და განმტკიცებულია მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობით. საპროცესო სამართალი განსაზღვრავს იმ საპროცესო უფლებების კლასიფიკაციას და მათით სარგებლობის პირობებს, რომლებიც აუცილებელია მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების ეფექტიანად დაცვის უზრუნველსაყოფად.

საპროცესო ხარჯების ანაზღაურება დასაშვები და შესაძლებელია როგორც მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის თანამდევ პროცესუალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, პირველის გარეშე იგი არ შეიძლება დამოუკიდებლად არსებობდეს. პროცესუალურ-სამართლებრივი მოთხოვნები წარმოიშობა და ქრება მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნასთან ერთად.

სასარჩელო წარმოებაში ხარჯებს გაიღებს მხარე, რომლის მიზეზითაც სასამართლოს მოუწია კონფლიქტის (დავის) გადაწყვეტა. ეს შეიძლება იყოს მოპასუხე (სარჩელის დაკმაყოფილების), ან მოსარჩელე (სარჩელის დაუკმაყოფილებლობის პირობებში), სასამართლოს გარეშე ხარჯები განეკუთვნება დამატებით დანახარჯებს, რომელსაც გაიღებს მხარე.

აღსანიშნავია, რომ მოგვარებულ სასამართლო დავაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურებაზე დამოუკიდებელი სარჩელის წარდგენა, ვერ იქნება ცალკე, დამოუკიდებელი სარჩელით მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი, რამდენადაც



ასე სახეზეა არა სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ, დასრულებულ სამართალწარმოებაში გამოუყენებელი საპროცესო უფლების მატერიალური შინაარსის უფლებად წარმოსახვის მცდელობა, რისი შესაძლებლობა კანონმდებლობით უზრუნველყოფილი არ არის და სავსებით ლოგიკურად, ვინაიდან სასამართლო დავაზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე ქარწყდება ყველა საპროცესო უფლება, რომლითაც მხარეებს შეეძლოთ ესარგებლათ სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ვადები ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის, როგორც სასამართლოსათვის, ასევე მხარეთათვის, ამასთან, დადგენილია კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ მხარეთათვის განსაზღვრულ საპროცესო ვადაში საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგები, კერძოდ: თუ, მხარემ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ან სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას.

სასამართლოს გარეშე ხარჯების განაწილების შესახებ დანაწესს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და არ ანიჭებს სასამართლოს საპროცესო კომპეტენციას, თავისი ინიციატივით, მხარის მოთხოვნის არარსებობის პირობებში გადაწყვეტოს სასამართლოს გარეშე ხარჯების განაწილების საკითხი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება, საქმეზე №ბს-1665-1619(კ-08)).

ხსენებული მსჯელობა წარმოშობს სასარჩელო მოთხოვნასთან თანადროულად საპროცესო ხარჯების ანაზღაურების მიზნით შესაბამისი მოთხოვნის სარჩელშივე ჩამოყალიბებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების (როგორც სასამართლო, ასევე არასასამართლო ხარჯების) გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან“. გარდა საპროცესო ნორმებისა, ხსენებული მოთხოვნის მხარდამჭერი სამართლებრივი საფუძველია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებიც, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის



მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“.

შესამჩნევია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო ნორმის საფუძველზე გამოუყენებელ საპროცესო უფლებაზე ცალკე სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს კანონი, ანუ სამართლებრივად დაუშვებელია საპროცესო უფლების მატერიალურ უფლებასთან გათანაბრების სამართლებრივი შესაძლებლობის დაშვება და თანმდევ საპროცესო უფლებაზე სარჩელის წარდგენა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ Nბს-1665-1619(კ-08) საქმეზე მიღებული 2009 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება).

უფრო მეტიც, საგულისხმოა მოცემულ საკითხთან დაკავშირებული მყარი, სტაბილური და 2012 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული განზოგადებული სასამართლო პრაქტიკაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით Nას-165-158-2013 საქმეზე დადგინდა ერთიანი, განზოგადებული სასამართლო პრაქტიკა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა საპროცესო შეცდომების გაანალიზების შედეგად.

ხსენებულის თანახმად, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი. კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, რომელსაც ქვემოთ შევხებით. ამასთან, სასამართლოს ყოველთვის შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება პროცესის ხარჯების თაობაზე, თუკი ამას მხარეები მოითხოვენ და დაადასტურებენ სათანადო მტკიცებულებებით. სასამართლოსთვის მინიჭებული ამგვარი ლეგიტიმური უფლება გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულებიდან, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს



სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. საპროცესო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის ხდება თითოეულ ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე და იმის მიხედვით, თუ როგორ შეცვლის ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას, ამას მოჰყვება პროცესის ხარჯების განაწილების ცვლილებაც.

ამდენად, საკასაციო პალატის შეფასებით, ვინაიდან არსებობს დავის გადაწყვეტასთან ერთად იმავე დავაზე გაწეული ხარჯების დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმი, ხოლო საპროცესო კანონი სპეციალურ რეგულაციას არ იცნობს, მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრება) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. ამასთან, მხარეებს არ უნდა შეეზღუდოთ პროცესის ხარჯების მოთხოვნის უფლება საქმის მომზადების დასრულების შემდგომ, ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუკი ხარჯების საკითხი სწორედ საქმის განხილვის ამ სტადიაზე წარმოიშვა და მანამდე მხარისთვის ამ ფაქტის შესახებ ობიექტურად ცნობილი ვერ იქნებოდა.

ამ მიმართებით საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მართალია „სასამართლო უფლება“, განსაკუთრებით სასამართლოსადმი წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება ნაგულისხმევ შეზღუდვებს, თუმცა ამ შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდონ მოსარჩელის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა იმ სახით და იმ დონემდე, რომ მან გავლენა იქონიოს სასამართლო უფლების არსზე. შეზღუდვები აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს მხოლოდ მაშინ, თუ აქვს დასახული ლეგიტიმური მიზანი და თუ არის დაცული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებასა და დასახულ მიზანს შორის. (*Liakopoulou v. Greece*, 20627/04, \$17, 2006, ECHR).

რაც შეეხება საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილ პროცედურებს (დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა), საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული მუხლი ითვალისწინებს ისეთი ხარვეზის აღმოფხვრის მექანიზმებს, როდესაც მართალია მხარემ მოითხოვა პროცესის ხარჯების დაბრუნება სასამართლოსაგან, მაგრამ სასამართლოს თავისი მიზეზით გამორჩა მხედველობიდან ამ საკითხის გადაწყვეტა (261.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). გასათვალისწინებელია, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმა ვადითაა შეზღუდული, კერძოდ, 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.



ზემოთ მოყვანილ ნორმათა ანალიზი, ასევე საკასაციო სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა, იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იმის თაობაზე, რომ მხარე საპროცესო კანონმდებლობით საკმარისად არის დაცული, რათა მან პროცესის მოგების შემთხვევაში დაიბრუნოს მის მიერ გაწეული ხარჯები და აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში, შესაბამისად, დავის გადაწყვეტისას ამ უფლების რეალიზაციაზე უარის თქმა მხარეს ართმევს უფლებას აღძრას დამოუკიდებელი სარჩელი სხვა დავაზე გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით“, რაც ამართლებს წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულ მართებულობას.

3.2 აპელანტი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

აპელანტი მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომელიც ითვალისწინებს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას დისციპლინური მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურეობრივ მოვალეობებს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია თვლის, რომ სასამართლო ვერ ასაბუთებს იმ გარემოებებს, რის გამოც მან სადაო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის N7XX ბრძანება ა. ს.-ს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება ის გარემოება, რომ სახეზე გვქონდა სამსახურეობრივი მოვალეობის უხეში დარღვევა, რაც გახდა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი. სამწუხაროდ სასამართლოს უგულებელყოფილი აქვს ის მტკიცებულებები, რაც მოპასუხე მხარის მიერ იქნა წარდგენილი და მხოლოდ მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე აკეთებს აქცენტს.

სასამართლოს მოცემული დავის ფარგლებში უნდა შეეფასებინა რამდენიმე გარემოება, კერძოდ:

1. ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 და 5.2 ქვეპუნქტების თანახმად ჰქონდა თუ არა ოდესმე მოსარჩელეს განხორციელებული ინსპექტირება და კონტროლი?

სასამართლო გადაწყვეტილების 3.7 პუნქტის თანახმად დადგენილ გარემოებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებისთვის დადგენილი წესი. ასევე მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო იმავე ტიპის სხვა ხელშეკრულებებზე შემოწმების აქტების წარმოდგენა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ვერ დაეთანხმება სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას, რადგანაც საქმის მასალებში წარმოდგენილია ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის



2014 წლის 3 იანვრის ბრძანება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების კონტროლის განხორციელების მიზნით ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში შეიქმნა ინსპექტირების ჯგუფები. აღნიშნული ბრძანების მე-2 მუხლის ა, ბ და დ პუნქტების თანახმად ინსპექტირების ჯგუფებს დაევალოთ კონტროლისა და ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელება.

ზემოაღნიშნული ნორმატიული მასალა ადასტურებს, იმ გარემოებას, რომ თითოეულ პირს, რომელიც ინსპექტირებას ახორციელებდა მართებდა კონტროლისა და ზედამხედველობის ღონისძიების განხორციელება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ასევე ვერ დაეთანხმება იმ გარემოებას, რომ მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა ინსპექტირების კონკრეტული წესი. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ვალდებულების არსებობის ფაქტზე და არა იმ გარემოებაზე ამა თუ იმ ხელშეკრულებით დეტალურად იყო თუ არა გაწერილი კონტროლის ან ინსპექტირების ღონისძიებები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია განმარტავს, რომ შესაძლოა ხელშეკრულება ამომწურავად არ შეიცავდეს ინსპექტირების განხორციელების ეტაპებსა და სტადიებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმ გარემოებების დადგენა ჰქონდა თუ არა მხარეს ინსპექტირების ვალდებულება და თუ ჰქონდა აღნიშნული ვალდებულება რა ღონისძიებები განახორციელა მან? მოცემულ შემთხვევაში 2014 წლის 3 იანვრის ბრძანების თანახმად ინსპექტირების ჯგუფში შემავალი პირების ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას სწორედაც, რომ ინსპექტირების განხორციელება წარმოადგენდა და თუ ხელშეკრულება არ შეიცავდა დეტალურ წესს ინსპექტირების განხორციელების პროცედურების შესახებ, ამ შემთხვევაში სასამართლოს უნდა მოეხდინა რიგი გარემოებების შეფასება, მაგალითად ცდილობდა თუ არა, ან განახორციელა კი რაიმე ღონისძიება ინსპექტირების განმახორციელებლმა პირმა კონტრაქტის მიერ ვალდებულებათა შერულების შემოწმების მიზნით?

მოცემულ შემთხვევაში თავად მოსარჩელე მხარე ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იგი ენდობოდა კონტრაქტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თუ მიმწოდებელი არაკეთილსინდისიერი იქნებოდა სავსებით შესაძლოა მუნიციპალიტეტის მერიას მატერიალური ზიანი მიდგომოდა.

2. ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის უფლებამოსილება?

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია განმარტავს, რომ სასამართლოს საერთოდ არანაირი ყურადღება არ გაუმახვილებს 2013 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულებაზე. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტის თანახმად შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენდნენ მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები, კერძოდ ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ქალაქგაფორმებისა და მატერიალურ



ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა არაერთი მიღება-ჩაბარების აქტი შპს „ნ.-თან“ მიმართებით, სადაც თითოეულ მიღება-ჩაბარების აქტზე ფიქსირდება უფლებამოსილი პირის ხელმოწერა. მაგალითისთვის ყურადღებას გავამახვილებ 2014 წლის 11 აპრილს, 2014 წლის 12 აპრილის და 2014 წლის 09 მაისის მიღება-ჩაბარების აქტებზე, სადაც თითოეულ შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს მასზე უფლებამოსილი პირი ნ.კ. (ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი). შესაბამისად, თუ 2013 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თითოეულ მიღება-ჩაბარების აქტს აფორმებდა ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების შესაბამისი თანამშრომელი გაუგებარია, თუ რატომ ფიქსირდება 2014 წლის 29 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტზე ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის სამსახურის უფროსის ხელმოწერა?

სასამართლო სამოტივაციო ნაწილში საერთოდ არ მსჯელობს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მოხსენებით ბარათზე, არადა სწორედ აღნიშნული დასკვა გახდა ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებისა.

აუდიტის სამსახურის მოხსენებითი ბარათით დასტურდება ის გარემოება, რომ ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსი ა. ს. შპს „ნ.-ს“ მიერ გაწეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობას ადასტურებდა ხელშეკრულების 5.1 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული პერიოდული ინსპექტირების და კონტროლის ღონისძიებების გარეშე, რაც მიუთითებს სამსახურეობრივ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებაზე. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ა. ს.-მ მისი უფროსის დაუკითხავად გამოიყენა სამსახურეობრივი ბეჭედი, რომლითაც მან დაამოწმა მიღება-ჩაბარების აქტი. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ განხორციელებული მოქმედებები შეიძლება ჩაითვალოს ისეთ უხეშ დარღვევებად, რომლისთვისაც მხოლოდ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 79-ე მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული უკიდურესი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება იყო შესაძლებელი. უფრო კონკრეტულად, შპს „ნ.-თან“ დადებული ხელშეკრულების 7.2 პუნქტის შესაბამისად, ანგარიშსწორება უნდა მომხდარიყო 2014 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანხის ოდენობის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნდა ფაქტიურად გაწეული სამუშაოს მოცულობას, შესაბამისად, მითითებული წარმოადგენდა სწორედ იმ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომლის კონტროლი მკაცრად უნდა მომხდარიყო



ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. აპელანტი მიუთითებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრები მკაცრად გაწერილია და ა. ს.-ს ქმედებამ, რომლის მიხედვით ხდებოდა გადაუმოწმებელი ინფორმაციის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება გამოიწვია ის შედეგი, რომ სხვაობა ფაქტობრივად გაწეულ სამუშაოებს შორის აღმოჩნდა საკმაოდ დიდი, როგორც ეს აუდიტის სამსახურის მოხსენებით ბარათშია მოცემული და შესაბამისად, აღნიშნულის შედეგად ქ. თბილისის მერიის ბიუჯეტიდან გავიდა ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოზე მეტი თანხები, რაც თავისი შინაარსით მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს.

აპელანტი მიუთითებს, რომ სასამართლო მსჯელობს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას აუცილებელია მითითებულ იქნას, თუ რატომ ხდება ყველაზე მკაცრი ზომის დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია თვლის, რომ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა ადასტურებს იმ გარემოებას, თუ რატომ გახდა საჭირო ყველაზე მკაცრი დისციპლინური ღონისძიების გამოყენება.

სასამართლო არასწორად აფასებს იმ გარემოებას, რომ თითქოსდა ხელმძღვანელობის მხრიდან მოსარჩელის მიმართ იყო არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება. სასამართლოს საერთოდ არ უნდა გაემახვილებინა ყურადღება იმ მიღება-ჩაბარების აქტებზე, რაც მოსარჩელე მხარის მიერ იქნა წარმოდგენილი, რადგანაც ზემოაღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტები აბსოლუტურად სხვა ხელშეკრულებებს ეხება, სადაც სხვა ფაქტობრივი გარემოებებია, შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში სხვა ხელშეკრულებათა განხილვა არამიზანშეწონილია.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტსა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მუშაკების მოხსენებით ბარათში მითითებულია, რომ შპს „ნ.-ზე“ ასანაზღაურებელი ტრანსპორტის მომსახურების ოდენობა 2046 კილომეტრით აღემატება ამავე სამსახურის მიერ მსოფლიო გლობალურ ქსელში მოძიებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ შპს „ნ.-ს“ მიერ გაწეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობას. სასამართლომ არ გაიზიარა აუდიტის სამსახურის ზემოაღნიშნული დასკვნა მიუთითა, რა ლევან სამხარაული ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში კვლევის ჩატარება და დასკვნის გაცემა შეუძლებელია. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია განმარტავს, რომ სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ განმარტა, რომ იგი ვერ შეძლებდა აღნიშნულ გარემოებაზე დასკვნის გაცემას, რაც ავტომატურ რეჟიმში არ გულისხმობს იმ ფაქტს, რომ აუდიტის სამსახურის მიერ გაკეთებული შეფასება მცდარია.

III ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:



4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთება:

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, აპელანტ ა. ს.-ს სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ: ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს; იმავე 385-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;

ფაქტობრივი დასაბუთება

სააპელაციო პალატას საქმეზე დაადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის პირველი ოქტომბრის №17XX განკარგულებით ა. ს. დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის



საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, კონკურსის შედეგად 2 თვის გამოსაცდელი ვადით (ტომი 1, ს.ფ. 15).

4.2. 2014 წლის 03 სექტემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მოახსენა, რომ მისდამი დაქვემდებარებული სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსმა ა. ს.-მ წარუდგინა შპს „ნ.-თან“ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული აქტით შპს „ნ.-სთვის“ უნდა გადარიცხულიყო 2480 ლარი გაწეული მომსახურებისთვის, თუმცა აღნიშნულ აქტთან დაკავშირებით წარმოეშვა სხვადასხვა სახის კითხვები, კერძოდ: 1. ჰქონდა თუ არა როდესმე განხორციელებული ინსპექტირება და კონტროლი, რაზეც ა. ს.-მ სიტყვიერად განუმარტა, რომ არ ჰქონია. 2. რის საფუძველზე მოაწერა მან მიღება-ჩაბარების აქტს ხელი და რატომ არ ჩააყენა ამის თაობაზე საქმის კურსში სამსახურის უფროსი ან კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილე. 3. რატომ მოაწერა მიღება-ჩაბარების აქტს ხელი მიუხედავად იმისა, რომ იგი მომწოდებლის მიერ ხელმოუწერელი იყო. 4. რატომ დაარტყა მიღება-ჩაბარების აქტს სამსახურის ბეჭედი სამსახურის უფროსის ნებართვის გარეშე. 5. ხელშეკრულების შესაბამისად, მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი არიან ადმინისტრაციის ქალაქგაფორმების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურები, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მხოლოდ თვითონ ა. ს. აწერდა.

წერილში აღნიშნულია, რომ ხსენებულ შეკითხვებთან დაკავშირებით ა. ს.-ს მოეთხოვა წარედგინა ახსნა-განმარტებითი ბარათი, რაც მან არ შეასრულა და ისე დატოვა სამსახური.

სამსახურის უფროსმა მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი შემდგომი რეაგირებისა და დასკვნისათვის გადაგზავნოდა შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს. (ტომი I, ს.ფ. 24)

4.3. 2014 წლის 09 სექტემბერს ა. ს.-ს მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებისთვის მიცემული ახსნა-განმარტების თანახმად:



1. ტრანსპორტით მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, ხელმძღვანელის ზეპირსიტყვიერი მითითების საფუძველზე, მის მოვალეობას წარმოადგენდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
2. მიმწოდებლის მხრიდან აღებული ვალდებულებიდან გამომდინარე კონტროლის ღონისძიებას წარმოადგენდა შემსრულებლის მიერ მომსახურების ვალდებულების ხარისხიანად შესრულება - დავალების შესაბამისად მითითებულ მისმართზე წარმოდგენილიყო შესაბამისი ოდენობის სატრანსპორტო საშუალება, შემოწმებულიყო მონაწილეების რაოდენობის შესაბამისობა წარმოდგენილ სატრანსპორტო საშუალებაში არსებულ ადგილებთან, ამ სატრანსპორტო საშუალებას დანიშნულების ადგილამდე აეყვანა ღონისძიებების მონაწილეები.
3. მიღება-ჩაბარების გაფორმების საფუძველს წარმოადგენდა შპს „ნ.-ს“ დირექტორის გ. ნ.-ს მიერ ავტოტრანსპორტის მომსახურების შესრულების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტი.
4. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით ელ. ფოსტის მეშვეობით შემსრულებელმა წარმოადგინა წერილობითი შეტყობინება შესრულებული სამუშაოების შესახებ, რომლის საფუძველზეც ა. ს.-ს მიერ მომზადდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც დანართის სახით ახლავს შესრულება ტრანსპორტით მომსახურებაზე. ა. ს.-ს მხრიდან მომზადდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც მოეწერა ხელი, როგორც წესი და დაერთყა სამსახურებრივი ბეჭედი ცალმხრივად, რაც წარედგინა სამსახურის უფროსს შესათანხმებლად.
5. ვალდებულება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე საქმის კურსში ჩაეყენებინა სამსახურის უფროსი ქონდა მანამდე, სანამ შემსრულებელი მოაწერდა ხელს და წაიღებდა თავის ეგზემპლარს.
6. უფროსის თანაშემწის ნებართვის გარეშე სამსახურებრივი ბეჭედი იყო მიუწვდომელი, შესაბამისად, ვერ მოახდენდა თვითნებურად ბეჭდის გამოყენებას. ბეჭდის დასმა და დოკუმენტის სამსახურის უფროსისთვის წარდგენა ერთდროულ/თანმიმდევრულ მოქმედებებს წარმოადგენდა. (ტომი I, ს.ფ. 44-46)
- 4.4. დადგენილია, რომ 2014 წლის 15 სექტემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსს მოხსენებითი ბარათით მიმართეს ამავე სამსახურის მონიტორინგის განყოფილების



მთავარმა სპეციალისტებმა და მიუთითეს, რომ 2013 წლის 24 დეკემბერს ქ. თბილისის მერიას და შპს „ნ.-ს“ შორის გაფორმდა N10.2/20/XXX ხელშეკრულება ტრანსპორტით მომსახურებაზე. სახელშეკრულებო ღირებულებით 114 340.00 ლარი მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვრა 2014 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი. საბიუჯეტო კოდით 8.8 შემდგომში 8.6.1 პროგრამის შესრულებაზე (სახელშეკრულებო თანხა 49900 ლარი) მიღება - ჩაბარების აქტებს აფორმებდა და ადასტურებდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის სამსახურის ახალგაზრდული საქმეთა მონიტორინგის სამსახურის განყოფილების უფროსი ა. ს. „ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ შესყიდვებზე შპს „ნ.-ს“ მიერ წარდგენილი და ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის ა. ს.-ს მიერ დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, შპს „ნ.-ზე“ ანაზღაურებული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობა 2046 კილომეტრით აღემატებოდა აუდიტის სამსახურის მიერ მსოფლიო გლობალურ ქსელში (ინტერნეტში) მოძიებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ შპს „ნ.-ს“ მიერ გაწეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობას. ამასთან, ა. ს.-მ აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებს ვერ წარუდგინა შპს „ნ.-ს“ მიერ წარდგენილი გაწეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობის (კილომეტრაჟის) გადამოწმების მიზნით ჩატარებული ინსპექტირების ან კონტროლის რაიმე ღონისძიების შესახებ ინფორმაცია ან დოკუმენტი.

ამ უკანსკნელს ჩამოერთავა რა ახსნა-განმარტება თავის საქმიანობასთან დაკავშირებით დადგინდა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის სამსახურის ახალგაზრდული საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსი ა. ს. შპს „ნ.-ს“ მიერ გაწეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობის (კილომეტრაჟის) დადასტურებას ახდენდა ხელშეკრულების 5.1 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული პერიოდული ინსპექტირების და კონტროლის ღონისძიებების განხორციელების გარეშე, რაც მიუთითებს ა. ს.-ს სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებაზე და წარმოადგენს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის დისციპლინურ გადაცდომას. მოხსენებით ბარათში ასევე მითითებულია სამსახურის უფროსის თანაშემწის როგორც ბეჭედზე პასუხისმგებელი პირის მიმართ მითითების მიცემა არ დაუშვას სამსახურებრივი ბეჭდის განთავსება მასთან შეუთანხმებლად სხვისთვის ხელმისაწვდომ ადგილას. (ტომი I, ს.ფ. 19-23)



4.5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსმა 2014 წლის 15 სექტემბერს №10-10/14246952 მოხსენებითი ბარათით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მოახსენა, რომ შესწავლილი მასალების მიხედვით, ა. ს.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებას, რაც წარმოადგენს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 78-ე მუხლით განსაზღვრულ დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, მის მიმართ შესაძლებელი იყო გამოყენებული ყოფილიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა „სამსახურიდან გათავისუფლება“. (ტომი I, ს.ფ. 17-18)

4.6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბერის №7XX ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსი ა. ს., სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევისათვის, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. (ტომი I, ს.ფ. 16)

4.7. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 24 ნოემბრის წერილის თანახმად, იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რამდენად უტყუარია მსოფლიო გლობალურ ქსელში (ინტერნეტი) „Google Map“-ის მიერ მოცემული კილომეტრაჟის დამადასტურებელი მონაცემები, შეუძლებელია ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში კვლევის ჩატარება და დასკვნის გაცემა. (ტ.1. ს.ფ. 75)

4.8 საქმეში წარმოდგენილი 2013 წლის 24 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N192/20/XXX ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო ქ. თბილისის მერიასა და შპს „ნ.-ს“ შორის ხელშეკრულების ობიექტია ტრანსპორტით მომსახურება. მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვრა 2014 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

დადგენილია, რომ ხელშეკრულების მე-5 პუნქტით განისაზღვრა პირობები ხელშეკრულების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების შესახებ), კერძოდ 5.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი. 5.2 მიმწოდებულის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან



განახორცილებენ ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები. 5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლს (ინსპექტირების მიზნით) გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

ხელშეკრულების მე-6 პუნქტით განისაზღვრა ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი. აღნიშნულ პუნქტში მითითებულია, რომ შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. მათ გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები. (ტომი I, ს.ფ. 26-33).

4.9 მხარეები როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში აცხადებენ, რომ ტრანსპორტით მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების ინსპექტირებისთვის დადგენილი წესის შესრულების კონკრეტული ფორმა და გამოსაყენებელი მეთოდი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწერილი არ არის რაიმე იურიდიული დოკუმენტით ან ცალკე სამართლებრივი აქტით.

საქმეში წარმოდგენილია **ლ. ხ.-ს** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსი **ა. ს.-ს** ყოფილი მოადგილის ახსნა-განმარტება, სადაც მას მითითებულია აქვს, რომ თუ **ა. ს.** დოკუმენტს (მიღება-ჩაბარება) შემსრულებელი მხარის ხელმოწერამდე არ გააცნობდა სამსახურის უფროსს შესათანხმებლად, ის მაინც ვერ გაიგზავნებოდა უფროსის ხელმოწერის გარეშე. განყოფილება ამზადებდა დოკუმენტს, უფლებამოსილი პირი აწერდა ხელს, არტყამდა ბეჭედს, შემდეგ წარუდგენდა უფროსს შესათანხმებლად. სამსახურის უფროსი იძლეოდა თანხმობას დოკუმენტის ფორმას და შინაარსზე. (ტომი I, ს.ფ. 26-33).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქმეში წარმოდგენილია ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციას და შპს „**ნ.-ს**“ შორის ასევე ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციას და შპს „**ვ. ქ.**“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების



შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტები. (ტომი I, ს.ფ. 219)

ასევე საქმეში მოიპოვება 2011, 2012 2013 წლებში შპს „გ. ქ.-თან“, შპს „თ. ს.-სთან“ და შპს „ნ.-თან“ გაფორმებული ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები, ანგარიშ-ფაქტურები (ტომი II, ს.ფ. 10-424)

საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 05 დეკემბრის წერილის თანახმად, ა. ს.-ს 2014 წლის 01 დეკემბერს წარდგენილი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ქ.თბილისის მერიასა და შპს „ნ.-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ინსპექტირება სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ არ განხორციელებულა. (ტომი I, ს.ფ. 219)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 17 დეკემბრის წერილის თანახმად, ა. ს.-ს 2014 წლის 08 დეკემბერს წარდგენილი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შპს „ვიქომის და შპს..თაიმ სერვისის“ ინსპექტირება არ განხორციელებულა (ტომი II, ს.ფ. 9)

4.10 საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 29 აგვისტოს მიღება - ჩაბარების აქტის N10.2/20/XXX (8.6.1)-11 თანახმად, ერთის მხრივ ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახური, ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის ა. ს.-ს სახით და მეორეს მხრივ, შპს „ნ.“ (შემდგომში-შემსრულებელი) მისი დირექტორის გ. ნ.-ს სახით აღნიშნული აქტით ადასტურებენ, რომ შემსრულებელმა პროგრამის - სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები“ ფარგლებში, 2013 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული N10.2/20/XXX ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები - ტრანსპორტით მომსახურება დანართით 1-ის შესაბამისად. მომსახურების ღირებულებაა 2480 ლარი. აქტის სისწორეს ადასტურებენ ხელმოწერით დამქირავებელი - ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდული საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსი ა. ს., ხელმოწერა დადასტურებულია სამსახურებრივი ბეჭდით, ხოლო შემსრულებელი საწარმოს უფლებამოსილი პირის შპს „ნ.-ს“



დირექტორის ხელმოსაწერი ადგილი ცარიელია. მიღება ჩაბარების აქტში ამსახველი ინფორმაციის სისწორე დადასტურებულია ცალმხრივად. მიღება ჩაბარების აქტს ერთვის ქალაქგარეთ ავტოტრანსპორტით მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (ტომი I, ს.ფ. 34, 35). სადავოს არ წარმოადგენს, რომ ამ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე თანხების ბიუჯეტიდან ანაზღაურება არ მომხდარა.

4.11 საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 03 იანვრის N X/X ბრძანების თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 03 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით იქნა ნაბრძანები შემდეგი:

1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურში შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფები.. დანართი N1 მიხედვით
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 03 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების თანახმად: ინსპექტირების ჯგუფებმა:
 - ა) განახორციელონ მიმწოდებელთან მოლაპარაკების საფუძველზე ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის გეგმა - გრაფიკის შედგენა.

ბ) მოახდინონ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის სამუშაოების მომსახურების მოცულობის, ხარისხის და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლის და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება.

გ) მოახდინონ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მომწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

დ) მოახდინონ ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა.



3. ინსპექტირების ჯგუფებმა ხელშეკრულების შემოწმების შესახებ ანგარიში და დასკვნები წარმოადგინონ მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთანვე.

4.12 ქ. თბილისის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 03 იანვრის NX/X ბრძანებაზე დართული ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის ინსპექტირების ჯგუფებში 8.8 გრაფაში მითითებულია ინსპექტორებად ა. ს., რ. მ., ს. თ., ნ. ქ., ზ. ჩ., მ. მ.. (ტომი III, ს.ფ. 58-63)

4.13. საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს სადავოდ არ გაუხდია, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობის პერიოდში ა. ს.-ს დისციპლინური სახდელი დაკისრებული არ აქვს.

სამართლებრივი დასაბუთება

4.14. სააპელაციო პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს შემდეგი: ადამიანის უფლებების და თავისუფლებების აღიარება, დაცვა და მათი რეალიზაციის ეფექტიანად უზრუნველყოფა, ძირითადი ვექტორია ქვეყნების დემოკრატიული წყობილების არსებობისა და ქვეყნის ასეთი მოწყობის ლიბერალურ ღირებულებებთან თანაცხოვრების გარდაუვალობის სარგებელში, მით უფრო, რომ უფლებებში აღიარების და თავისუფლებების მოპოვების ძალისხმევები ვრცელ ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება ადამიანების თავგანწირვის, საკუთარი სიცოცხლის დაკარგვის რისკის ხარჯზე.

საქართველოს სახელმწიფო, რომელსაც ქვეყნის მოწყობის და სიცოცხლისუნარიანობის საშუალებად გააჩნია ძირითადი კანონი, ქვეყნის ძირითადი პრინციპების და პოსტულატების დეკლარირების აქტი - საქართველოს კონსტიტუცია, აღიარებს ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს, როგორც ყველაზე მთავარ ღირებულებებს სახელმწიფოს კეთილდღეობის, არსებობის სტაბილურობის და განვითარების პერსპექტივებში.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები უპირველს ყოვლისა არის პირის კერძო ინტერესების დაკმაყოფილების და მოთხოვნადი პრივილეგიების შექმნის, თანასწორი მდგომარეობის დამკვიდრების ბუნებრივი მოთხოვნილება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოთხოვნილებები პარალელურად ქმნიან კოლექტიური სოლიდარობის შეგრძნებებს და დამოკიდებულებებს ერთიანი ორგანიზმის



სახელმწიფოს მიმართ, რომლის ერთიანობა და ბალანსი შესაძლებელს ქმნის სახელმწიფო კეთილდღეობას ინდივიდების კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი ბალანსის დაცვით.

პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, სადაც გაცხადებულია საქართველოს სახელმწიფოებრივი პრიორიტეტი და მიმართულებები, კერძოდ, პრეამბულაში მითითებულია შემდეგი: ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას.

პრეამბულამ განაცხადა სოლიდარული ნება და აღიარებული ღირებულები ქვეყნის მოქალაქეებისა.

წინამდებარე სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე, პალატა ყურადღებას გაამახვილებს ისეთ უფლებაზე და თავისუფლებაზე, როგორც არის ეკონომიკური და სოციალური უფლება (ეკონომიკური უფლებებში მოიაზრება დასაქმება და შრომის ბაზარი და აშ. ხოლო სოციალური უფლებები შრომის სამართლიანი ანაზღაურება კომპენსაციები შრომის სამართლიანი პირობები და აშ.) და შრომის თავისუფლება (1995 წლის კონსტიტუციამდე არსებული საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციით, შრომა იყო ვალდებულება). ეს უკანასკნელი წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური უფლების რეალიზაციის გარდაუვალ შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული უფლებები და თავისუფლება განმტკიცებულია, ეროვნულ დონეზე და ჰარმონიზებულია აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებთან.

ეკონომიკური და სოციალური უფლებები, შრომის თავისუფლება სიცოცხლისუნარიანი ამ ღირებულებების ხელმისაწვდომობის სრულყოფილების ტენდენციის ხარისხით. ლიბერალური ღირებულების დემოკრატიული ქვეყნების სახელმწიფო კეთილდღეობის ინდექსის სიმაღლის საზომის მნიშვნელოვანი ეტაპი განპირობებულია ქვეყნების ამბიციით მათი პოლიტიკური პროგრამის მიმართულებები უკავშირდებოდეს სწორედ ეკონომიკური და სოციალური უფლებების, შრომის თავისუფლების პრიორიტეტულობის გამოკვეთას.



საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებულია შრომის თავისუფლება, - პირველი პუნქტი- შრომა თავისუფალია.

4.15. პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს საკითხის ფართო გააზრებისთვის ყურადღება გამამხვილოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში განმარტებული „შრომის“ ცნებაზე, კერძოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილებაში, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მანია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ მიუთითებს, რომ „ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა ვერ ჩაითვლება „შრომად“ და არ ექვემდებარება დაცვას კონსტიტუციის 30-ე მუხლის საფუძველზე. „შრომად“ შეიძლება გავიგოთ მხოლოდ ისეთი საქმიანობა, რომელიც მატერიალური და სულიერი თვალსაზრისით ემსახურება ადამიანის ცხოვრების საფუძვლის შექმნასა და შენარჩუნებას. შრომა, ერთის მხრივ, წარმოადგენს ადამიანის მატერიალური უზრუნველყოფის, ხოლო მეორეს მხრივ, პიროვნული თვითრეალიზაციისა და განვითარების საშუალებას. ადამიანის პროფესიული საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე მიმართულებას, მაგრამ საქმიანობის ნაწილი წარმოადგენს კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს მაშინ, როდესაც ის განგრძობადი და მატერიალური შემოსავლის მომტანია ან მისი ჩამოცილებით აღარ იარსებებდა შემოსავლის მომტანი პროფესიული საქმიანობის ძირითადი მიმართულება”.

შრომის უფლება თანამედროვე დოქტრინალური გაგებითაც მხოლოდ საარსებო წყაროს მოპოვების საშუალებად არ მოიაზრება, ის ადამიანის ღირსების დაფიქსირების, პიროვნული დამკვიდრების და განვითარების, თვითრეალიზაციის შესაძლებლობების მთავარი და სასიცოცხლო მიზანიც და საშუალებაცაა.

4.16 საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

თვალსაჩინოა ის, რომ საქართველოს კონსტიტუციამ შრომითი ურთიერთობის საკითხები იერარქიულად მაღალ საფეხურზე მდგომი საკანონმდებლო სამართლებრივი აქტით - საქართველოს ორგანული კანონით განამტკიცა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი რომელიც ძალადაკრებულია 2017 წლის 01 იანვრიდან პირდაპირ მიუთითებს საჯარო სამსახურში მომუშავე პირთა შრომით სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირების სამართლებრივ წყაროზე, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან



დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

4.17 ზემოთ დადგენილი და მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე წინამდებარე დავა შრომით - სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოშობილი კონფლიქტია.

მოდავე მხარე - მოსარჩელე ა. ს. შრომითი უფლების რეალიზაციას ახდენდა საჯარო სამსახურში და წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს. კერძოდ, მოქალაქე ა. ს. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის პირველი ოქტომბრის №1XXX განკარგულებით დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, კონკურსის შედეგად 2 თვის გამოსაცდელი ვადით.

პალატა მიუთითებს, რომ საჯარო სამსახურში მუშაობა ეს არის ყველაზე გავრცელებული ფორმა შრომის თავისუფლების რეალიზაციის და შრომის უფლებით სარგებლობასთან ერთად პირი მონაწილეობდეს სახელმწიფოებრივი საქმიანობის (როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე) განხორციელებაში. ამიტომ საჯარო მოხელის სტატუსი თავისი ფუნქციური და ზოგად ხასიათობრივი ბუნებით მოიცავს, არამარტო პირის დასაქმებას საჯარო სამსახურში, არამედ მთელ რიგ პასუხისმგებლობას საჯარო და საერთო სახელმწიფოებრივი კეთილდღეობის ინტერსებთან.

„საჯარო სასამხურის შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ მიუთითებს ამ ინეტერესებისკენ სვლის ტენდენციებს, თვისებების და უნარჩვევების მიმართვას, პასუხისმგებლობის გაცნობიერების მაღალ სტანდარტებს, ერთიანი სახელმწიფოებრივი საქმიანობის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად მიდგომას, პერმანენტულ ზრუნვას როგორც სამსახურის მოხელეების განვითარების ხელშეწყობაში, ისე მოხელის თვითგანვითარების ნების და მისწრაფების გამოვლენაში, რისი დასტურიცაა საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მთელი რიგი ნორმები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1.1-ლი მუხლის თანახმად, საჯარო სამსახური (შემდგომ - სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.



მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, საქართველოში საჯარო სამსახური ერთიანია. საჯარო სამსახური იყოფა შემდეგ სახეებად: ა) სახელმწიფო სამსახური; ბ) სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობაში.

კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოხელეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად.

მოსარჩელე **ა. ს.** წარმოდგენდა საჯარო მოხელეს ადგილობრივ თვითმმართველობაში.

კანონის მე-13 მუხლით განმტკიცებულია საქართველოში საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები: ა) საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება; ბ) საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას; გ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა; დ) საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად; ე) მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; ვ) საქვეყნოობა; ზ) საჯარო სამსახურის უპარტიოება და საერო ხასიათი; თ) მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა; ი) სამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

საყურადღებოა ის, რომ კანონი ითვალისწინებს საჯარო მოსამსახურის ფიცს, რომელიც პირის მიერ ერთგვარი დადასტურება იმ პასუხისმგებლობების მაღალი სტანდარტით გაცნობიერებისა, საკუთარ თავზე აღებისა და ჯეროვნად, სრულყოფილად შესრულებისა, რომელიც მთავარი პირობაა სახელმწიფო საქმიანობის განხორციელებაში მონაწილობის სურვილის დასაკმაყოფილებლად.

კანონის 28-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, პირი, რომელიც პირველად იქნა მიღებული სამსახურში, დამნიშვნელ მოხელეს წარუდგენს შემდეგი შინაარსის ფიცს: "შეგნებული მაქვს რა საჯარო სამსახურში ჩემზე დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა, ვაცხადებ, ერთგულად ვემსახურო საქართველოს სახელმწიფოს და მის ხალხს, დავიცვა კონსტიტუცია და კანონები, პატივი ვცე სახელმწიფოს ინტერესებს და ავტორიტეტს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად აღვასრულო ჩემი მოვალეობანი". დამნიშვნელი თანამდებობის პირი ხელს აწერს ფიცის ტექსტს, რომელიც შემდგომ ინახება მოხელის პირად საქმესთან ერთად.

4.18. საქმის მასალების თანახმად, საპროცესო სუბიექტთა განსხვავებული მოსაზრების დაუსაბუთებლობის შესაბამისად, შეიძლება მიჩნეული იქნას, რომ მოსარჩელე **ა. ს.** ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას ზემოთ



მითითებული პირობების და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბერის №XXX ბრძანების გამოცემის საფუძვლის წარმოშობამდე.

პალატა აღნიშნავს, რომ 2013 წლის 24 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N192/20/XXX ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო ქ. თბილისის მერიასა და შპს „ნ.-ს“ შორის, 5.2 პუნქტით მიმწოდებულის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორცილებენ ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები. იმის გათვალისწინებით, რომ ა. ს. წარმოადგენდა აღნიშნული საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსს, პალატა მიიჩნევს, რომ იგი უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი, რაც მიღება-ჩაბარების აქტის შედგენასაც მოიცავდა.

მოსარჩელე ა. ს. 2013 წლის პირველი ოქტომბრის №1XXX განკარგულებით ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე 2013 წლის პირველი ოქტომბრის №1XXX განკარგულებით დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დანიშვნამდე იგივე სამსახურში მუშაობდა უფრო დაბალი რანგის მოხელედ, რასაც სადავოს არ ხდის მოპასუხე მხარე. მოსარჩელე ა. ს.-ს საქმეში წარმოდგენილი აქვს კვალიფიკაციის ამაღლებისთვის მისთვის მინიჭებული სერთიფიკატიც.

საყურადღებოა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბერის №XXX ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსი ა. ს., სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევისათვის, გათავისუფლდა რა დაკავებული თანამდებობიდან, ა. ს.-ს გათავისუფლების ფაქტობრივ საფუძვლად სამსახური მიიჩნევს მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის ახალგაზრდული საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის ა. ს.-ს მიერ შპს „ნ.-ს“ მიერ გაწეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობის (კილომეტრაჟის) დადასტურებას, მიღება - ჩაბარების აქტის არასათანადოდ წარმოებას ხელშეკრულების 5.1 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული პერიოდული ინსპექტირების და კონტროლის ღონისძიებების



განხორციელების გარეშე. ძირითადი აქცენტი სამსახურს გამახვილებული აქვს მასზე, რომ ა. ს.-მ შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს დადასტურებისას არ დაიცვა რა შესრულებული სამუშაოს ინსპექტირების და კონტროლის წესები, გააფორმა მიღება - ჩაბარების აქტი, უნებართვოდ გამოიყენა სამსახურებრივი ბეჭედი და დადასტურება მოახდინა მისი ხელმოწერით ისე, რომ საქმის კურსში არ ჩააყენა სამსახურის უფროსი.

4.18 პალატა, იმისათვის რომ ნათელი გახდეს ა. ს.-ს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სადავო მიღება-ჩაბარების აქტის წარმოებით შესაძლო გადაცდომის არსებობა - არარსებობის ფაქტი, ყურადღებას ამახვილებს ქ. თბილისის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 03 იანვრის NX/X ბრძანებაზე, რითაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 03 იანვრის NX ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურში შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფები, რომელთაც დაევალოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 03 იანვრის NX ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების თანახმად: ინსპექტირების ჯგუფებმა: ა) განახორციელონ მიმწოდებელთან მოლაპარაკების საფუძველზე ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის გეგმა - გრაფიკის შედგენა. ბ) მოახდინონ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის სამუშაოების მომსახურების მოცულობის, ხარისხის და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლის და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება. გ) მოახდინონ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მომწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება; დ) მოახდინონ ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა. ინსპექტირების ჯგუფებმა ხელშეკრულების შემოწმების შესახებ ანგარიში და დასკვნები წარმოადგინონ მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთანვე.

პალატა მიუთითებს „საჯარო სასამხურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, რომლის თანახმადაც, მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომელიც განსაზღვრულია ამ კანონით, სხვა კანონებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით. მოსამსახურე ვალდებულია სპეციალური მითითებების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სამსახურს



ეხება და მის სამსახურებრივ ადგილს უკავშირდება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მითითებულია 55-ე და 56-ე მუხლების პირველ პუნქტებში.

პალატა აღნიშნავს, რომ როგორც ზემოთ იქნა განმარტებული საჯარო მოსამსახურის ფუნქციები, უპირველესად მიმართულია, ქვეყნის სამსახურში ყოფნის ნების გამო საერთო სახელმწიფოებრივი მიზნის განხორციელებაში მონაწილობის მიღებისკენ, რაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მატარებლის სუბიექტის ხასითს სძენს საჯარო მოხელის იურიდიულ სტატუსს. ამდენად, საჯარო მოხელისადმი თავისი ფუნქციების ეფექტიანი და კეთილსინდისიერი შესრულების მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია.

დადგენილია, რომ ქ. თბილისის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 03 იანვრის NX/X ბრძანებაზე დართული ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის ინსპექტირების ჯგუფებში 8.8 გრაფაში მითითებულია ინსპექტორებად ა. ს., რ. მ., ს. თ., ნ. ქ., ზ. ჩ., მ. მ.

ნათელია, რომ ა. ს.-ს სპეციალური ფუნქცია გაწერილია ქ. თბილისის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 03 იანვრის NX/X ბრძანების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 03 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებით, და ეს სპეციალური ფუნქცია არის მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებლის სამუშაოს მიღებისას მისი დადასტურების მიზნით ინსპექტირების და კონტროლის განხორციელება სწორედ ამ დებულებაში მოცემული პირობების ზედმიწევნით დაცვით.

ამდენად, პალატა დადასტურებულად მიიჩნევს, რომ ა. ს. ირიცხებოდა იმ ჯგუფში, რომელსაც ევალებოდა მონიტორინგის და კონტროლის ჩატარება იმ პირობების გათვალისწინებით, რაც ბრძანებით იყო დავალებული.

ამიტომ, პალატა ვერ დაეყრდნობა ა. ს.-ს სამსახურებრივი გადაცდომის ცალსახად დაუდასტურებლობის ფაქტის დასადგენად იმ არგუმენტს, რომ ტრანსპორტით მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების ინსპექტირებისთვის დადგენილი წესის შესრულების კონკრეტული ფორმა და გამოსაყენებელი მეთოდი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწერილი არ არის რაიმე იურიდიული დოკუმენტით ან ცალკე სამართლებრივი



აქტით, მაშინ, როცა არსებობს ძირითადი გაწერილი პირობები - „ა) განხორციელონ მიმწოდებელთან მოლაპარაკების საფუძველზე ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის გეგმა - გრაფიკის შედგენა. ბ) მოახდინონ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის სამუშაოების მომსახურების მოცულობის, ხარისხის და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლის და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება. გ) მოახდინონ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მომწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება; დ) მოახდინონ ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა. ინსპექტირების ჯგუფებმა ხელშეკრულების შემოწმების შესახებ ანგარიში და დასკვნები წარმოადგინონ მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთანვე“.

პალატა განმარტავს, რომ საჯარო მოხელის, რომელიც, როგორც ზემოთ ხაზგასმით აღინიშნა, განსაკუთრებული ფუნქციების მატარებელი სტატუსის მქონე სუბიექტია, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობის შესრულების ვალდებულებების აღებისას, მისი კვალიფიციური მუშაობა სხვა პირობებთან ერთად იზომება იმ კრიტერიუმებით, თუ რამდენად ოპტიმალურია მისი საქმიანობის შესრულება, გააჩნია თუ არა თვითშემოქმედების უნარი, რომელიც ზედმიწევნით შესატყვისი და თანმიმდევრული იქნება შესასრულებელი გაწერილი სამუშაოებისა და რამდენად ეფექტურად აქვს დაგეგმილი გააზრებული შესასრულებელი სამუშაო.

ამდენად, იმ პირობებშიც კი, თუ მიჩნეული იქნება, რომ ქ. თბილისის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 03 იანვრის NX/X ბრძანებაში, რითაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 03 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების თანახმად, დადგენილი პირობები არ იყო ზედმიწევნით, სიტყვასიტყვით გაწერილი, რაშიც იგულისხმება, რომ ინსპექტირების განხორციელების მეთოდი და გამოსაყენებელი საშუალებები არ იყო სრულიად ნათელი, ამით საჯარო მოხელეს არ ენიჭება პრივილეგია მასზე დაკისრებული სპეციალური ფუნქციის განხორციელებისას სრულიად იგნორირება მოახდინოს. საყურადღებოა, რომ საქმის მასალების თანახმად არ დასტურდება ა. ს.-ს წინასწარ გაცხადებული უარი სპეციალური ფუნქციის შესრულებაზე დაკისრებული სამუშაოს



შესასრულებლად გაუწერელი წესების ან გაწერილი წესების ბუნდოვანების გამო და ინსპექტორების ჯგუფში გაწევრიანებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოპასუხე მხარეს დაევალა სასამართლოში წარმოდგინა სამართლებრივი აქტი, თუ რა წესით ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების მიერ ტრანსპორტით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული კილომეტრაჟის დასადგენად პერიოდული ინსპექტირებისა და კონტროლის ღონისძიებები, თუმცა მოპასუხემ ვერ შეძლო ასეთი ინფორმაციის წარდგენა. მოპასუხემ აგრეთვე ვერ შეძლო წარედგინა სხვა მსგავსი ხელშეკრულების ფარგლებში, კილომეტრაჟის სიზუსტის დასადგენად ჩატარებული ინსპექტირების და კონტროლის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. ასეთი არ ყოფილა წარმოდგენილი არც სააპელაციო წესით საქმის განხილვისას.

პალატა ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ **ა. ს.** თავის ახსნა-განმარტებაში ხაზგასმით უთითებს ფუნქციის სადავოდ არაჯეროვნად შესრულების საფუძველს - სამსახურის ზეპირსიტყვიერ განკარგულებას. კერძოდ,

1. ტრანსპორტით მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, ხელმძღვანელის ზეპირსიტყვიერი მითითების საფუძველზე, მის მოვალეობას წარმოადგენდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

2. მიმწოდებლის მხრიდან აღებული ვალდებულებიდან გამომდინარე კონტროლის ღონისძიებას წარმოადგენდა შემსრულებლის მიერ მომსახურების ვალდებულების ხარისხიანად შესრულება - დავალების შესაბამისად მითითებულ მისამართზე წარმოდგენილიყო შესაბამისი ოდენობის სატრანსპორტო საშუალება, შემოწმებულიყო მონაწილეების რაოდენობის შესაბამისობა წარმოდგენილ სატრანსპორტო საშუალებაში არსებულ ადგილებთან, ამ სატრანსპორტო საშუალებას დანიშნულების ადგილამდე აეყვანა ღონისძიებების მონაწილეები.

3. მიღება-ჩაბარების გაფორმების საფუძველს წარმოადგენდა შპს „ნ.-ს“ დირექტორის **გ. ნ.-ს** მიერ ავტოტრანსპორტის მომსახურების შესრულების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტი.

4. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით ელ. ფოსტის მეშვეობით შემსრულებელმა წარმოადგინა წერილობითი შეტყობინება შესრულებული სამუშაოების შესახებ, რომლის საფუძველზეც **ა. ს.-ს** მიერ მომზადდა მიღება-



ჩაბარების აქტი, რომელსაც დანართის სახით ახლავს შესრულება ტრანსპორტით მომსახურებაზე. ა. ს.-ს მხრიდან მომზადდა მიღება-ჩაბარების აქტი რომელსაც მოეწერა ხელი, როგორც წესი და დაერთყა სამსახურებრივი ბეჭედი ცალმხრივად, რაც წარედგინა სამსახურის უფროსს შესათანხმებლად.

5. ვალდებულება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე საქმის კურსში ჩაეყენებინა სამსახურის უფროსი ქონდა მანამდე, სანამ შემსრულებელი მოაწერდა ხელს და წაიღებდა თავის ეგზემპლარს.

6. უფროსის თანაშემწის ნებართვის გარეშე სამსახურებრივი ბეჭედი იყო მიუწვდომელი, შესაბამისად, ვერ მოახდენდა თვითნებურად ბეჭდის გამოყენებას. ბეჭდის დასმა და დოკუმენტის სამსახურის უფროსისთვის წარდგენა ერთდროულ/თანმიმდევრულ მოქმედებებს წარმოადგენდა.

სასამართლო ასევე, ყურადღებას მიაქცევს ა. ს.-ს ყოფილი მოადგილის ჩვენებას, სადაც მითითებულია, რომ ხელშეკრულების თანახმად მიღებული სამუშაოს შესრულების დადასტურების პროცედურების უზრუნველყოფას ახდენდა ა. ს., კერძოდ, ადგენდა მიღება-ჩაბარების აქტს და გადასცემდა სამსახურის უფროსს.

აღნიშნული ახნა-განმარტებების საწინააღმდეგო უტყუარი დადასტურება ადმინისტრაციულ სამსახურს სასამართლოსათვის არ წამოუდგენია. ამდენად, იკვეთება ის შემთხვევა, რომ სამსახურს გააჩნდა გარკვეული პრაქტიკა სადავო ფუნქციის შესრულების თანმიმდევრულად განხორციელებაში და ა. ს. ფუნქციის შესრულებას ახორციელებდა დადგენილი პრაქტიკით, რომელიც შეიძლება შეცვლილიყო ა. ს.-ს ზემდგომი საჯარო მოხელის საკუთარი შეხედულების და მიდგომების მიხედვით.

სააპელაციო წესით საქმის განხილვისას, სასამართლოს დავალების საფუძველზე გამოთხოვილი იქნა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც გაფორმდა მერიის მიერ შპს „ნ.-ს“ მიერ გაწეულ სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელზეც თავისდროზე შედგენილი იქნა მიღება-ჩაბარების აქტი ა. ს.-ს მიერ, შედარებისათვის გაირკვა, რომ შპს „ნ.-სთან“ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და მასთან ანგარიშსწორება შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით შემდგომაც არ მოხდარა, რის მიზეზადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ დაასახელა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მომწოდებლისაგან (შპს „ნ.-სგან“)



ოფიციალურად შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი (იხ.ს.ფ. ტ-3, ს.ფ. 453).

პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტების მიერ ა. ს.-ს ქმედების შესწავლისას დადგენილი იქნა ის გარემოება, რომ იგი შპს „ნ.-ს“ მიერ გაწეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობის (კილომეტრაჟის) დადასტურებას ახდენდა ხელშეკრულების 5.1 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული პერიოდული ინსპექტირების და კონტროლის ღონისძიებების განხორციელების გარეშე, რაც ჩაითვალია ა. ს.-ს სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებად და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის დისციპლინურ გადაცდომად. ბუნებრივია, თუკი არ არსებობდა შპს „ნის მიერ ოფიციალურად წარდგენილი ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს შესახებ, შიდა აუდიტის და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მონიტორინგის განყოფილების თანამშრომლები აუცილებლად მიუთითებდნენ ამის თაობაზე და ბუნებრივია, თუკი არ არსებობდა ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს შესახებ, ისინი იმის გადამოწმებას აღარ დაიწყებდნენ რამდენად სწორად განახორციელა კოლომეტრაჟის დადასტურება ა. ს.-მ და მიუთითებდნენ, რომ ასეთი ინფორმაციის არარსებობის პირობებში ახდენდა ა. ს. მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურებას.

პალატა აფასებს რა გადაცდომის საფუძვლების და ხასიათის სტრუქტურას, ზემოთ მითითებული მსჯელობებიდან გამომდინარე, დასკვნის სახით განმარტავს, რომ პრეტენზიის გამოცხადების მართებულობის სიმყარე სამსახურებრივი მოვალეობის შესაძლო არაჯეროვანად შესრულების გამო, დამოკიდებულია არამართო პირის იურიდიულ სტატუსზე, ამ სტატუსის შესაფერ უფლება-მოვალეობებთან ცალმხრივად შეფასებაზე, არამედ იმ შესაძლებლობებსა და რესურსებზე, რომლებიც ამ სტატუსის მატარებელ პირს გააჩნია კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად.

4.19 პალატა მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომის შემდეგ სახეებს - ა) სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანად შესრულება; ბ) დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა; გ) ზოგადხეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ



მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ.

ა. ს.-ს განთავისუფლება გამომდინარეობს მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის, კერძოდ, სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისგან.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის თანახმად, 1. პუნქტი - იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

ა) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით _ არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა_არა უმეტეს ერთი წლისა; ვ) სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. მე-2 პუნქტი - ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.

კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს.

ამავე კანონის 99-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, 1. მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა. მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

მითითებული ნომებიდან გამომდინარე დადგენილია როგორც სამსახურიდან განთავისუფლების შესაძლო საფუძველები, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე ნათელია, რომ სამსახურს გააჩნია ფართო დისკრეცია შიდა სამსახურებრივი ურთიერთობის დარღვეულობისას, კერძოდ, შრომით ურთიერთობებში წარმოშობილი კონფლიქტის დაბალანსება მოახდინოს არა კანონით გაწერილი მხოლოდ ერთადერთი პირობით, არამედ ეძლევა კონფლიქტის სრულყოფილად შესწავლის შედეგად თანაზომიერების და ასეთი კონფლიქტის



წარმოშობის დეტალური გამოკვლევით, შეფასებით და გაანალიზებით ოპტიმალური დარეგულირების შესაძლებლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა ერთერთ საქმეში მიუთითებს, რომ „თუ დისციპლინური სახდელის შეფარდების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, მასვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას წაეყენება დასაბუთების ვალდებულება იმდენად, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას“ (სუს საქმე №ბს-525-512(კ-14) 19.02.2015წ გადაწყვეტილება).

პალატის მოსაზრებით, კარგად უნდა იქნას გააზრებული ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო აქტების მოქმედება მიზანმიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის არა მხოლოდ დადგენილი პირობებში ზედმიწევნით მოქცევისკენ, არამედ ისინი ემსახურებიან მთავარ მიზანს - ქვეყანაში საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს, ქვეყნის ძირითად სტრატეგიებს და აღიარებულ ღირებულებებს. წინამდებარე კონკრეტული დავიდან გამომდინარე ა. ს.-ს სამსახურიდან განთავისუფლების მიღების გადაწყვეტილება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთებული უნდა იყოს სწორედ კანონმდებლობის მოქმედების ფართო გაგებით, მისი მიზნების შესაბამისად.

პალატა არ იზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ ა. ს.-ს განთავისუფლების შესახებ ბრძანება კანონიერია/ პალატას მიაჩნია, რომ აქტის გამოცემისას დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ის ნორმები, რომელიც ადმინისტრაციული აქტის გამომცემ ორგანოს პირდაპირ ავალდებულებს ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების დასაბუთებას, მათ საფუძვლად მითითებული პირობების სრულყოფილად და ყოველმხრივ დადასტურებას ფაქტობრივ გარემოებათა ზედმიწევნით შესწავლით და შეფასებით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

მართალია, სასამართლოს კომპეტენციას სცილდება, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების დროს, შეამოწმოს საკითხის გადაჭრის ყველაზე მისაღები გზის არჩევის მიზანშეწონილობა, მაგრამ სასამართლო



ზედამხედველობს ასეთი აქტების დასაბუთებულების სათანადოობას, რაც საკითხის გადაჭრის დროს კანონიერების, გამჭირვალობის, ობიექტურად შეფასების თანაბარზომიერების, ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად არის მიღებული. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ა. ს.-ს განთავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების, სტაბილურობის უტყუარობა სათანადოდ არ არის დადასტურებული, არ არის დასაბუთებული, რომ ა. ს.-ს განთავისუფლება არის უკიდურესი პრევენციული ღონისძიება, რომელიც მიღებული იქნა კერძო და საჯარო ინტერესის როგორც ვიწრო, ასევე ფართო გაგებით, გააზრებული იქნა საყოველთაოდ აღიარებული და განმტკიცებული ძირითადი უფლებები და ღირებულებები, არ იქნა შეფასებული და დაანგარიშებული ა. ს.-ს შესაძლო არაჯეროვანი სამსახურებრივი შესრულებით ადმინისტრაციული ორგანოსადმი და საჯარო ინტერესებისადმი მიყენებული ზიანის ხასიათი თუ ოდენობა. სიცხადეს არ ქმნის, რომ ადმინისტრაციული ორგანო ა. ს.-ს მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შერულებისას მასთან თანამონაწილეობის დროს (ხელმძღვანელის ზეპირი განკარგულება, დაქვემდებარებულ პირთან ფუნქციის გადანაწილება) ცალკე აღებული ზედმიწევნით იყო ჯეროვანი, კანონშესაბამისი და ეფექტური.

ადმინისტრაციულ ორგანოს შეფასება არ გაუკეთებია იმ საკითხზე, რომ ა. ს.-ს სპეციალური ფუნქციის შესრულება არ იყო ერთჯერადი. ამასთან, მხოლოდ მას არ ჰქონდა ასეთი ფუნქციის შესრულების ვალდებულება დაკისრებული, ამავე დროს საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 05 დეკემბრის წერილის თანახმად, ა. ს.-ს 2014 წლის 01 დეკემბერს წარდგენილი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფრომაციის საფუძველზე, ქ.თბილისის მერიასა და შპს „ნ.-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ინსპექტირება სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ არ განხორციელებულა. (ტომი I, ს.ფ. 219) ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 17 დეკემბრის წერილის თანახმად, ა. ს.-ს 2014 წლის 08 დეკემბერს წარდგენილი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფრომაციის საფუძველზე, შპს „გ.-ს“ და შპს „თ. ს.-ს“ ინსპექტირება არ განხორციელებულა. ადმინისტრაციული ორგანო თავისი სრულყოფილი დასაბუთებით პირდაპირ უნდა აქარწლებდეს შესაძლო ეჭვებს თანაბარ პირობებში თანაბარი წესების გამოუყენებლობის შემთხვევის შესახებ; ეჭვებს - გარკვეული ინტერსებიდან გამომდინარე შესაძლო დისკრიმინაციული მოპყრობის გამო.

პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, იგი აგებს პასუხს საკუთარი შეხედულებით მიღებული გადაწყვეტილების ეფექტურობის და მართებულობის



უტყუარობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა მძაფრია, როგორც კერძო ინტერესის, ისე საჯარო ინტერესის მიმართ, რადგან ეს ორივე მოიაზრება სახელმწიფოებრივი კეთილდღეობის აღიარებული საშუალებების შეუფერხებლად ფუნქციონირების ჭრილში ერთობლივად.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის ერთერთი ბერკეტია ზემოთ მითითებული პასუხისმგებლობის კეთილსინდისიერად შესრულების ზედამხედველობისთვის. სადაც გაწერილია, რომ სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო.

პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენცია სადავო ადმინისტრაციული აქტების კანონიერების შემოწმების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების პროცესუალური საფუძვლების შერჩევასა შემოფარგლულია შესაბამისი კომპეტენციით. მართლმსაჯულების ორგანოს და მმართველობითი ორგანოების კომპეტენციები არ არის თანმხვედრი, შესაბამისად, სასამართლო ვერ დაუშვებს კომპეტენციათა კონფლიქტს, ვერ შეიჭრება ადმინისტრაციული ორგანოების სპეციალურ საქმიანობებში გარკვეული საკითხების გადაჭრით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

მითითებული საპროცესო ნორმიდან და ზემოთ მითითებული განმარტებიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მართებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სადავო განთავისუფლების ბრძანების კანონიერების შემოწმების გადაწყვეტისას სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენება.

ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს სამსახურის უფროსის ზეპირი განკარგულების არსებობის რელურობა; იყო თუ არა ამ ზეპირი განკარგულების საფუძველი ქ. თბილისის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 03 იანვრის NX/X ბრძანება,



„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 03 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებასთან შესაბამისობაში. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაადასტუროს უტყუარი მტკიცებულებით, რომ ა. ს.-ს მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო სამსახურის უფროსის განკარგულების შეუსაბამო მოქმედებით. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ასაბუთოს ა. ს.-ს განთავისუფლების უკიდურესი აუცილებლობა მისი პიროვნების, კვალიფიკაციის, უნარების, წარსულში შესაძლო ჩადენილი გადაცდომებისათვის შესაბამის ზომების დაკისრების არსებობისას, თანაბარ პირობებში სხვა თანამონაწილეთა თუ არათანამონაწილეთა მიერ განხორციელებული იგივე ქმედებისგან განსხვავებული მიდგომის მართებულობა ა. ს.-ს მიმართ, შესაძლო დისკრიმინაციული მიდგომის გამორიცხვა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით დამდგარი ფაქტობრივი ზიანის არსებობა თუ შესაძლო ზიანის გარდაუვალობა და სიმწვავე. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ასაბუთოს განთავისუფლების ზომის გამოყენების მართებულობა ყველა შესაძლო უარყოფითი და საზიანო შედეგების დადგომის თუ ასეთის წარმოშობის საშიშროების პრევენციის უკიდურესი ზომით უზრუნველყოფა.

პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მოხელის განთავისუფლების კანონიერება ისე კარგად უნდა დაასაბუთოს თავის ბრძანებაში, რომ თავიდან იქნას აცილებული ეჭვები დასაქმებულის მხრიდან მისი სტიგმატიზაციისა ნებისმიერი ნიშნის მიხედვით, ეს იქნება ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა მახასიათებლის მიხედვით. პირს არ უნდა დარჩეს არც ერთი კითხვა პასუხგაუცემელი, რომელიც შეუქმნის წარმოდგენებს და გაუჩენს შეგრძნებებს უთანასწორო და უსამართლო მოპყრობის მსხვერპლად აღმოჩენისა.

სააპელაციო პალატა იზიარებს რა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას ა. ს.-ს სამსახურში სასამართლოს მიერ აღდგენის უსაფუძვლობაზე, შესაბამისად, ეთანხმება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარსი თქმას, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ, სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი



ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე კანონიერად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან დადგენილია, რომ სადავო აქტით ა. ს. დათხოვნილია სამსახურიდან; შესაბამისად, დათხოვნის დღიდან ის აღარ იმყოფება თანამდებობაზე, არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას და ხელფასის ანაზღაურების წინაპირობა არ არსებობს.

სააპელაციო პალატა არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების უსაფუძვლობაზე და აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი მოხელის უფლება ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არ არის დამოკიდებული სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების არსებობაზე, არც იმაზე გამართლდება თუ არა განთავისუფლებული პირის ინტერესები სამსახურში უკანონო განთავისუფლების გამო აღდგენაზე, ასეთი მოთხოვნის საფუძვლიანობას არ აბათილებს ის ფაქტი, წარადგინა თუ არა განაცხადი განთავისუფლებულმა პირმა კუთვნილი შვებულებით სარგებლობისათვის მუშაობის პერიოდში.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა. ს.-ს 2013 და 2014 წლებში არ უსარგებლია კუთვნილი შვებულებით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 57-ე მუხლის მიხედვით მოხელის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს და ამ კანონით გათვალისწინებულ დანამატს; ამავე კანონის 62-ე მუხლის მიხედვით მოხელისათვის დადგენილია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 24 სამუშაო დღის ოდენობით რომლის მოთხოვნის უფლება მას წარმოემოხა თანამდებობაზე დანიშნვიდან 11 თვის გასვლის შემდეგ; სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან შვებულების დროს ასანაზღაურებელი თანხა არ არის მოხელის ხელფასის შემადგენელი ნაწილი, შესაბამისად, მას უნდა აუნაზღაურდეს აღნიშნულ პერიოდში გამოუყენებელი კუთვნილი შვებულება.

პალატა მიუთითებს, რომ „ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 04 ივნისის კონვენცია (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით) კრძალავს მონაწილე სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი წესებისა და კანონების არსებობას, რომლითაც დასაქმებულმა შესაძლოა დაკარგოს ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება; პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლების აღიარებს და განამტკიცებს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“.



„ამდენად, დასახელებული სამართლებრივი რეგულაციებიდან გამომდინარე დასაქმებულის უფლება ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით უზრუნველყოს დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა; სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის დარღვეული უფლება სახეზეა, ვინაიდან მან ორი წლის განმავლობაში ვერ ისარგებლა ანაზღაურებადი შვებულებით, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ეტაპზე ამ უფლების პირდაპირი აღდგენა შეუძლებელია, მოსარჩელის უფლების აღდგენა უნდა მოხდეს გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებით;

აპელანტი **ა. ს.** სააპელაციო საჩივრით ასევე იხოვს წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვაზე მოსარჩელისათვის უარის თქმის, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საქმეზე დართვის, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებლისა და მისი თანხმლები დოკუმენტების საქმეზე დართვის, მოსარჩელის მიერ დასახელებული პირების მოწმეთა სახით დაკითხვაზე უარის თქმის თაობაზე, ასევე საქმის არსებითი განხილვის დროს საკუთარი ინიციატივით შეწყვეტისა, სხვა დროისათვის ზეპირი მოსმენის გადადების თაობაზე და შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე საოქმო განჩინებების გაუქმებას;

პალატა მიუთითებს საქართველო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოების დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. 103-ე მუხლით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. ამავე საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლით, წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოების შესახებ. ხოლო ამავე საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით, სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეს ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული; მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან.



მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საქმეზე დართვის, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებლისა და მისი თანხმლები დოკუმენტების საქმეზე დართვის ნაწილში სასამართლო საფუძვლიანად ჩათვალა, რომ შუამდგომლობა იყო საფუძვლიანი, იგი დააკმაყოფილა და, პალატის აზრით, არ არსებობს მისი გაუქმების საფუძვლები.

რაც შეეხება მოსარჩელისათვის წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვაზე და დასახელებული პირების მოწმეთა სახით დაკითხვაზე უარის თქმის თაობაზე საოქმო განჩინებების გაუქმების მოთხოვნას, პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული იქნა მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დართვის თაობაზე შუამდგომლობა და ისინი დაერთო საქმეს (იხ.ტ.1.ს.ფ.230-238). ასევე ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე და გამოთხოვილი იქნა მთელი რიგი დოკუმენტები მერიიდან, ხოლო მოწმის სახით **ლ. ხ.-ს** და **მ. ჯ.-ს** მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე - არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან სასამართლოს მიერ ინსპექტირებასთან დაკავშირებით გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია და მიღებული მტკიცებულებებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სრული სურათი შეიქმნებოდა, **ლ. ხ.-ს** განმარტება ინსპექტირებასთან დაკავშირებით ვერ იქნებოდა სრულყოფილი მტკიცებულება, ხოლო **მ. ჯ.-ს** შემთხვევაში, **სასამართლომ მიიჩნია, რომ მოხელის უფლება-მოვალეობები არ შეიძლება დადგინდეს მოწმის ჩვენებით, აღნიშნული დადასტურებული უნდა იყოს წერილობითი მტკიცებულებებით.**

პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლზე, რომლის მიხედვითაც საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ წარმოდგენილი მასალები, როგორც მოსარჩელე მხარის, ისე მოპასუხის სრულად დაურთო, ხოლო რაც არ იყო წარმოდგენილი, გამოითხოვა ადმინისტრაციული ორგანოდან, დავის საგნის გათვალისწინებით, მოწმეთა განმარტებები სწორედ არ იქნა მიჩნეული 102.3-ე მუხლით გათვალისწინებულ მტკიცებულებებად. შესაბამისად, არ არსებობს 2014 წლის 8 დეკემბრის საოქმო განჩინებების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216.1 მუხლის თანახმად, საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით. თუ საქმის სრულყოფილად გამოკვლევა და დამთავრება შეუძლებელია იმავე სხდომაზე, საქმის განხილვა მისი გადადების შემთხვევაში გრძელდება იმ სტადიიდან, რომელზედაც იგი გადაიდო. სასამართლო აგრეთვე უფლებამოსილია, საქმის განხილვა გააგრძელოს იმ სტადიიდან, რომელსაც



მიზანშეწონილად მიიჩნევს. მხარეები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ სასამართლოში საქმის დადგენილ ვადაში განხილვას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257.1-ე მუხლის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნულის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რის შესახებაც სხდომის დასრულებისთანავე აცნობებს მხარეებს, და განსაზღვრავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღს. სხდომის თავმჯდომარე ან მოსამართლე, რომელმაც გამოაცხადა გადაწყვეტილება, განმარტავს მისი გასაჩივრების წესსა და ვადას. სხდომის თავმჯდომარე ან მოსამართლე ასევე უფლებამოსილია, განუმარტოს მხარეებს გადაწყვეტილების შინაარსი და მისი გამოტანის სამართლებრივი საფუძვლები.

საქმეზე ჩატარებული იქნა ორი მოსამზადებელი სხდომა 2014 წლის 8 და 29 დეკემბერს, რა დროსაც ორჯერ იქნა გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა, დაყენებული შუამდგომლობები, რომლებიც განხილული იქნა, დაინიშნა მთავარი სხდომა. მთავარი სხდომა ჩატარდა 2015 წლის 27 იანვარს, რომელიც გრძელდებოდა 1 საათი და 36 წუთი. განხილული იქნა დაყენებული შუამდგომლობები, მოისმინეს მხარეთა ახსნა-განმარტებები და სხდომა მტკიცებულებათა განხილვის ეტაპიდან გადაიდო 16 თებერვლისათვის. 16 თებერვლის სხდომა გრძელდებოდა 1 საათი და 49 წუთი, რის შემდეგაც 257-ე მუხლის გათვალისწინებით გადაიდო სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება.

საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების, სასამართლო სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ სასამართლო სხდომების, შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად სასამართლო სხდომის გადადება, შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216.1 და 257.1 მუხლების მოთხოვნებს და, პალატის აზრით, არ არსებობს ამ საოქმო განჩინებების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

აპელანტი **ა. ს.** ითხოვდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით შედგენისათვის 25 ლარის, ხოლო ადვოკატის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის 2000 ლარის ოდენობით ანაზღაურებას, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული იქნა ნაწილობრივ, კერძოდ, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი



დოკუმენტის სანოტარო წესით შედგენისათვის 12 ლარი და ადვოკატის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის სახით 600 ლარი დაეკისრა მოპასუხეს. სააპელაციო პალატა იზიარებს აპელანტის პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1. და 47. 2. მუხლების შესაბამისად წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების ხარჯის ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ გონივრულ ფარგლებში, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, ქონებრივი დავის დროს არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, არაქონებრივი დავის დროს 2000 ლარამდე; მოცემულ შემთხვევაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით შედგენისათვის სრულად უნდა დაეკისროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე ადვოკატის ხარჯის ოდენობის განსაზღვრა პირველი ინსტანციის სასამართლოში 600 ლარის ოდენობით, პალატას არ მიაჩნია გონივრულად; საქმის სირთულის და მნიშვნელობის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ იგი განსაზღვრული უნდა იქნას 1000 ლარით;

რაც შეეხება სააპელაციო საჩივრის ავტორის ა. ს.-ს შუამდგომლობას დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იქნას მიქცეული მოსარჩელის სასარგებლოდ მოცემულ საქმეზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მისაღები შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება მოსარჩელის გადაუდებელი კანონიერი ინტერესის არსებობისა და მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილების მიზნით, არ უნდა დაკმაყოფილდეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268.1-ე მუხლით განსაზღვრულია ის გადაწყვეტილებები, რომლებიც სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს. პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება არ შედის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268.1 მუხლით განსაზღვრულში. შესაბამისად, პალატის აზრით, არ არსებობს ამ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, სასამართლოს მიერ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას 13-ე პუნქტში არაზუსტად იქნა მითითებული დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრების განმარტებისას პუნქტი 9-ე, რამდენადაც აღნიშნული წარმოადგენდა 10-ე პუნქტს და არა 9-ე პუნქტს, რაც დასაბუთებული გადაწყვეტილების შედგენისას გასწორებული უნდა იქნას და 13-ე პუნქტში, ნაცვლად პუნქტი 9-ისა უნდა მიეთითოს პუნქტი 10.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. ს.-ს სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ქმნიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, რის გამოც ა. ს.-ს სააპელაციო საჩივარი უნდა



დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

6. საპროცესო ხარჯები

6.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად აპელანტები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან.

6.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების წესი და მათი ოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

6.3. პალატა თვლის, რომ საპროცესო კანონმდებლობა, ითვალისწინებს მხარისათვის სასამართლო ხარჯების და სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურებას. კანონმდებელი განმარტავს თუ რა არის სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. პალატა აღნიშნავს, რომ ა. ს. სასამართლოში წარმოდგენილია წარმომადგენლის მეშვეობით, ასევე სადავო არ არის, რომ სასამართლოში სარჩელის, სააპელაციო საჩივრის შემოტანა და საქმისწარმოებაში მონაწილეობა დაკავშირებულია საპროცესო ხარჯებთან სარჩელისა და მისი ასლების გადაღების და ფურცლის ღირებულება, საფოსტო მომსახურებით სარგებლობის, მგზავრობის ღირებულება. ასევე სასამართლოში წარმომადგენლის მომსახურების ღირებულება და აღნიშნული ხარჯების გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენლობის შემთხვევაშიც მხარე აღნიშნულ ხარჯებს გაიღებდა. განსახილველ შემთხვევაში, პალატა მხედველობაში იღებს აპელანტ ა.ს.-ს წარმომადგენლის მიერ გაწეული სამუშაოს მოცულობას და მიიჩნევს, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, მოპასუხე მხარეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა დაეკისროს პროცესის ხარჯი - სასამართლოსგარეშე ხარჯის სახით ადვოკატის დახმარებისათვის - 1000 ლარის ოდენობით, ამასთან, ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს - სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის სახით 100 ლარის ანაზღაურება, ა. ს.-ს სასარგებლოდ. ა. ს.-ს წარმომადგენელი სააპელაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარისათვის ითხოვს მოცდენილი დროის სანაცვლო ანაზღაურებას და სამართლებრივ საფუძვლად უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლს. ამ მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი



შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მხარე არ უთითებს, რომ მოთხოვილი თანხა ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისია, ასევე ვერ უთითებს მის მიერ აღნიშნული თანხის მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, აპელანტის წარმომადგენლის მოთხოვნა სასამართლოში მოცდენილი დროის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

IV ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 34-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აპელანტ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. აპელანტ ა. ს.-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
3. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი 2013 და 2014 წლების გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება.
4. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისროს ა. ს.-ს სასარგებლოდ 2 წლის (2013, 2014წ.) გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება.
5. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ გაწეული პროცესის ხარჯის (სასამართლოსგარეშე ხარჯი) 12 ლარის ოდენობით და ადვოკატის დახმარებისთვის გაწეული ხარჯის 600 ლარის ოდენობით ანაზღაურების ნაწილში (გადაწყვეტილების 4.1. და 4.2 პუნქტი) და ამ ნაწილში მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება.
6. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისროს ა. ს.-ს სასარგებლოდ 25 ლარის გადახდა მის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების



დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით შედგენისთვის და ადვოკატის დახმარებისთვის გაწეული ხარჯის 1000 ლარის ანაზღაურება.

7. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების მე-2, მე-3, პუნქტები, რომლითაც სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 23 სექტემბრის №XXX ბრძანება ა. ს.-ს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილ ვადაში.

8. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი სამსახურში აღდგენის, იძულებითი განაცდურის და მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების თაობაზე.

9. არ დაკმაყოფილდეს ა. ს.-ს სააპელაციო საჩივარი წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვაზე მოსარჩელისათვის უარის თქმის, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საქმეზე დართვის, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებლისა და მისი თანხმლები დოკუმენტების საქმეზე დართვის, მოსარჩელის მიერ დასახელებული პირების მოწმეთა სახით დაკითხვაზე უარის თქმის თაობაზე, ასევე საქმის არსებითი განხილვის დროს საკუთარი ინიციატივით შეწყვეტისა და სხვა დროისათვის ზეპირი მოსმენის გადადების თაობაზე და შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე.

10. ა. ს.-ს შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყონებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

11. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისროს ა. ს.-ს სასარგებლოდ პროცესის ხარჯი - სასამართლოს გარეშე ხარჯის სახით ადვოკატის დახმარებისათვის 1000 ლარის გადახდა, ასევე სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯის სახით 100 ლარის ანაზღაურება.

12. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.32) დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 21 (ოცდაერთი)



დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ.7ა).

13. გადაწყვეტილება დაუყონებლივ აღსასრულებლად გადაცემაზე უარის თქმის ნაწილში (პუნქტი 10) გასაჩივრდება კერძო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. 32) დასაბუთებული განჩინების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 12 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. 7ა).

მოსამართლე

მანანა ჩოხელი